პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 302 (9770) | ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
არავითარი დანდობა მოღალატეებს! — ნ. მუსხელიშვილი — მოვსპოთ ბილწი ქვეწარმავლები. შ. ლამბაშიძე — საყოველთაო ზიზღი სამშობლოს მოღალატეებს! მექანიზატორთა გულისწყრომა (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში (მე-2 გვერდი).
მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — მარქსიზმის წარმოშობა რევოლუციური გადატრიალებაა ფილოსოფიაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
ნ. ჯანჯღავა. — კასპში კვლავ ძველებურად მუშაობენ (მე-3 გვერდი).
ფელეტონი. — „მკვდარი სულები“ (მე-3 გვერდი).
რედაქციის ფოსტიდან. — „...ლით“... (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
ზ. კოპალიანი. — ნადირთმომშენებელ მეურნეობაში (მე-4 გვერდი).

# ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები მოითხოვენ ხელისუფლების ორგანოების — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას, მშრომელებთან მათი კავშირის შემდგომ გაფართოებას, საბჭოების საქმიანობაში მასების აქტიურად ჩაბმას.

საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო ფენების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალებაა მუდმივი კომისიები. ეს კომისიები, რომლებიც ასობით დეპუტატს და მრავალრიცხოვან აქტივს აერთიანებენ, მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ ხელისუფლების ორგანოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებაში.

სამწუხაროდ, ხშირად მუდმივი კომისიები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით არიან შექმნილი. ისინი არავითარ გავლენას არ ახდენენ საქმეზე, არ ეხმარებიან საბჭოებს, გულგრილად შესცქერიან ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორებისათვის ზრუნვა სწორედ მათი პირდაპირი მოვალეობაა. მაგალითად, რუსთავის სავაჭრო ქსელის მუშაობაში ბევრი ნაკლოვანება იყო. მომხმარებლებს ზომა-წონაში ატყუებდნენ, ზედმეტ ფასს ახდევინებდნენ. ეს საკითხი ვაჭრობის სამინისტროს მსჯელობის საგანი გახდა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე კ. ბუაძე), რომლის თვალწინ ხდებოდა ეს ამბავი, არ დაინტერესებულა საფუძვლიანად შეესწავლა ქალაქის სავაჭრო ქსელი, მზის სინათლეზე გამოეტანა ნაკლოვანებანი. ფაქტიურად მუშაობას არ შესდგომია არც გამწვანების მუდმივი კომისია (თავმჯდომარე კ. გაბრიჩიძე). უნარიანი, ინიციატივიანი მუშაობის პირობებში კი ამ კომისიას რამდენი კარგი რამეს გაკეთება შეეძლო მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქისათვის.

მუდმივი კომისიების ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა სისტემატური ზრუნვა მასებთან საბჭოების კავშირის შემდგომი გაფართოებისათვის. რუსთავის საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიები ამ მხრივაც ძალიან ცუდად მუშაობენ. არც ერთ მათგანს თავის გარშემო შემოკრებილი არა ჰყავს აქტივი, ისინი მოწყვეტილი არიან მასებს. მუდმივი კომისიების უმოქმედობა გამოწვეულია როგორც მათი უინიციატივობით, ისე მათდამი საქალაქო საბჭოს სუსტი ხელმძღვანელობით, მისი აღმასკომის (თავმჯდომარე ს. რაზმაძე) არადამაკმაყოფილებელი დახმარებით. ჩანს, აღმასკომი სათანადოდ არ აფასებს მუდმივი კომისიების როლსა და მნიშვნელობას.

ფორმალურად არსებობს მუდმივი კომისიების უმრავლესობა ტყიბულის საქალაქო საბჭოსთანაც. სრულიად არაფერს აკეთებს კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისია, მაშინ როცა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას ბევრი ნაკლი აქვს. განსაკუთრებით შესამჩნევია ნაკლოვანებანი ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე, შახტისა, რომლის უფროსია სწორედ კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბ. ვაჭარაძე. ცუდად მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის კომისიაც (თავმჯდომარე გ. როინიშვილი). სამუშაო კი ბევრია. ქალაქში ხშირად ირღვევა სანიტარული წესები, საავადმყოფოს მუშაობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანია, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის კომისიას ეს ფაქტები არ აღელვებს.

შეუძლებელია შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას. მუდმივი კომისიები სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, აქტიურად ეხმარებოდნენ ხელისუფლების ორგანოებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებაში, ნამდვილად წარმოადგენდნენ საბჭოების დამხმარეებს მასებთან კავშირის გაფართოებაში. მაგრამ მუდმივი კომისიები თავიანთ სერიოზულ ამოცანებს ვერ შეასრულებენ, თუ არ გამოიჩინეს ინიციატივა და თვითმოქმედება. მუდმივი სწრაფვა იმისაკენ, რომ ჩვენი მშენებლობის ყველა უბანზე საქმე კარგად იყოს მოწყობილი, ჩვენი ცხოვრება სულ წინ და წინ მიდიოდეს, კეთილმოწყობილური მოუსვენრობა, ვიდრე მუშაობაში შემჩნეული ნაკლი არ იქნება გამოსწორებული, — აი რა უნდა ახასიათებდეს თვითეულ საბჭოთა მუშაკს, რა უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი. შეუწყნარებელია, მაგალითად, კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრმა გულგრილად უცქიროს, როცა საცხოვრებელი სახლის ან საზოგადოებრივი დაწესებულების შენობის სახურავი დაზიანებულია, წვიმა ჩადის და ნაგებობასაც აფუჭებს და ადამიანებსაც აწუხებს, ანდა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრის აღშფოთებას არ იწვევდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების, საკოლმეურნეო საკუთრებისადმი უდარდელი დამოკიდებულების, კოლმეურნეობაში დაბალი მოსავლიანობის, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

თავიანთ სამოქმედო უბნებზე შემჩნეულ ნაკლოვანებებს დაუყოვნებლივ უნდა ეხმაურებოდნენ მუდმივი კომისიები, შეჰქონდეთ წინადადებანი მათი გამოსწორებისათვის, სისტემატურად ამოწმებდნენ სათანადო საბჭოების აღმასკომებისადმი დაქვემდებარებული სამეურნეო და კულტურული დაწესებულებების საქმიანობას, ავლენდნენ დამატებით რეზერვებსა და შესაძლებლობებს მეურნეობისა თუ კულტურის ამა თუ იმ დარგის შემდგომი განვითარებისათვის, კონტროლს უწევდნენ საბჭოების გადაწყვეტილებების, ამომრჩეველთა განაწესის შესრულების მიმდინარეობას. მუდმივი კომისიების პირდაპირი მოვალეობაა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების კონკრეტულ და რეალურ ღონისძიებათა დასახვა და განხორციელება. ამ დიდ მოვალეობას მუდმივი კომისიები ვერ შეასრულებენ, თუ თავიანთ მუშაობაში ფართოდ არ მოიზიდეს აქტივი.

მუდმივი კომისიების ინიციატივა და თვითმოქმედება საკმარისი როდია. საჭიროა მათი წინადადებანი ყოველთვის მხარდაჭერას პოულობდეს სათანადო საბჭოსა და მისი აღმასკომის მხრივ, რომ ისინი ყოველდღიურად გრძნობდნენ დახმარებას. მუდმივი კომისიების წევრები ხშირად უნდა შეკრიბონ სათანადო საბჭოების აღმასკომებმა, ესაუბრონ მორიგ ამოცანებზე, სისტემატურად გააცნონ თავიანთი სამუშაო გეგმები, მოაწყონ საუკეთესო კომისიების გამოცდილების განზოგადება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ახალ მაღალ საფეხურზე აყვანას. მუდმივი კომისიების მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კარგად მოაწყონ მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, უკეთესად გაუძღვენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეს. მუდმივი კომისიები ნამდვილად უნდა წარმოადგენდნენ ადგილობრივი საბჭოების წინაშე ახალი ვითარებით დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის მებრძოლ ორგანიზატორებს.

# ჩვენს დიად სამშობლოში

★

## ჩვენი ქვეყნის საწარმოებში

ქარხანა „აზოვსტალის“ რელს-კოჭის საამქროს მგლინავებმა, რომლებმაც კუიბიშევის ჰესისათვის დაამზადეს ათასობით ტონა ხიმინჯი, აითვისეს ახალი ტიპის ხიმინჯის წარმოება. იგი წინათ გამოშვებულისაგან განირჩევა გასქელებული კედლით და საკეტის გაძლიერებული კონსტრუქციით. ხიმინჯი მზადდება უფრო გამძლე ანტიკოროზიული ფოლადისაგან. მგლინავებმა უკვე მოამზადეს გასაგზავნად გაუმჯობესებული პროფილის ათასობით ტონა ხიმინჯი.

* * *

ბოროვიჩის კომბინატ „კრასნი კერამიკში“ მუშა-მოსამსახურეებს აძლევენ ფულად ჯილდოს ნამსახურობისა და უმწიკვლო შრომისათვის. მეყალიბე ოსტატს ამხ. კოლობოვას, რომელმაც წარმოებაში მრავალ წელს იმუშავა, მიეცა 2.772 მანეთი. ზეინკალმა ზემლიაკოვმა მიიღო 3.200 მანეთი. წელს სულ ბოროვიჩელი მეკერამიკეები ნამსახურობისათვის მიიღებენ 4 მილიონ 900 ათას მანეთს.

* * *

სტალინგრადის სარძეო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა რძის პროდუქტების კომბინატი. გარდა რძისა, საწარმომ დაიწყო დიეტური პროდუქტების — კეფირის, ხაჭოს და სხვების გამოშვება. აშენდა ერბო-კარაქის საამქრო, სადაც ამჟამად წარმოებს მოწყობილობის მონტაჟი. აქ დამზადდება მინის ქილებში დაფასოებული ერბო.

კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა.

## ათვისებულია ახალი ჩარხების წარმოება

მოსკოვის ჩარხმშენებელმა ქარხანამ „კრასნი პროლეტარმა“ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. სოფლის მეურნეობისათვის გაკეთდა 1.600-ზე მეტი უნივერსალური სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხი.

მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივმა აითვისა მთელი რიგი ახალი მოდელების ჩარხების წარმოება. მათ შორის არის ვერტიკალური რვაშპინდელიანი სახარატო ნახევარავტომატი, განუწყვეტელი მოქმედების ექვსშპინდელიანი სახარატო ნახევარავტომატი. ორივე აგრეგატი დიდი წარმადობით გამოირჩევა. მათ არა სჭირდებათ დიდი საწარმოო ფართობი.

კრასნოპროლეტარელებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან მაღალი წარმადობის ჩარხების დიდი პარტია. (საკდესი).

## ი. ტინიანოვის ხსოვნის საღამო

დედაქალაქის მშრომელებმა აღნიშნეს მწერალ ი. ნ. ტინიანოვის გარდაცვალების მეათე წლისთავი. ტინიანოვი ავტორია ცნობილი ისტორიული რომანებისა „კუხლია“, „პუშკინი“, „ვაზირ მუხთარის სიკვდილი“. ლექსად აქვს თარგმნილი ჰაინეს ნაწარმოებნი.

ი. ტინიანოვის ხსოვნის საღამო გაიმართა ლიტერატორთა სახლში. მოგონებანი წაიკითხეს ი. ანდრონიკოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, კ. ჩუკოვსკიმ და სხვებმა. (საკდესი).

**სახელმოხვეჭილი კომბაინერი**



პროკოფი ვასილის-ძე ნეკტოვი — სოციალისტური შრომის გმირი, ჩკალოვის ოლქის ბელოზერსკის მტს-ის კომბაინერია. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა შრომაში გმირობის გამოჩენისათვის. პ. ვ. ნეკტოვი მთელი რიგი წლების განმავლობაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევს მარცვლეული კულტურების აღებასა და გალეწვაში.

პ. ვ. ნეკტოვი ბელოზერსკის რაიონის სოფელ კაზანკის პირველი ტრაქტორისტია. დიდი სამამულო ომის დროს იგი ნებაყოფლობით წავიდა ფრონტზე და იბრძოდა გვარდიის ნაწილებში. სტარაია რუსასთან ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა და ორივე ფეხი მოჰკვეთეს. დაჭრილ მებრძოლს უდიდესი მზრუნველობით უვლიდნენ ოჯახი და კოლმეურნეობა.

ამხანაგების მორალურმა დახმარებამ და მზრუნველობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. პ. ნეკტოვმა გადაწყვიტა მტს-ის მექანიზატორთა მწყობრში დაბრუნებულიყო. ბელოზერსკის მტს-ში თავისი ამხანაგების დახმარებით მან აღადგინა ძველი კომბაინი და დაიწყო ზედ მუშაობა. მის მდგომარეობაში ადვილი როდი იყო რთული მანქანის მართვა. მაგრამ ამხ. ნეკტოვი მტკიცედ ძლევდა სიძნელეებს და მიაღწია სასურველ შედეგს. პირველ ზაფხულშივე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სეზონის ნორმა. კომბაინერი კვლავ სრულყოფდა თავის ოსტატობას. ახალ კომბაინზე მან გამომუშავება აიყვანა 500, შემდეგ კი 700 და 1.000 ჰექტარამდე.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ყოფილი ფრონტელის შრომით გმირობას და ლენინის ორდენით დააჯილდოვა იგი.

ფოტო ვ. ლაშმანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მზადება ყაზანის უნივერსიტეტის 150 წლისთავისათვის

ყაზანი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის უნივერსიტეტი ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს თავისი 150 წლისთავი, რაც 1954 წელს სრულდება. შეიქმნა საიუბილეო კომისია რექტორის ამხ. მარტინოვის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან მეცნიერები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## სატირული მოთხრობა ეკრანზე

სტუდია „მოსფილმმა“ გამოუშვა მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია „პიპინოზის სეანსი“. ავტორები არიან ლ. ლენჩი და ხ. შმაინი.

ეკრანზე ვხედავთ მწვავე სატირას, რომელიც დასცინის ბიუროკრატიზმს.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ დასახა გამოუშვას სატირული კინოკომედიების სერია საჭირბოროტო თემებზე. (საკდესი).

## რძის ცხიმის გამორკვევის ახალი ხერხი

მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის რძის საქმის კათედრის და კიევის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის თანამშრომლებმა შეიმუშავეს რძის ცხიმის გამორკვევის ახალი მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს კალცინირებული სოდით რძის გაუწყლოების პრინციპი.

ახალი ხერხი გამოდგება აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ცხიმია სხვა საკვებ პროდუქტებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მთავარ სამმართველოს ზოოტექნიკურმა საბჭომ მოისმინა სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ რ. ბ. დავიდოვის მოხსენება ახალი მეთოდის შესახებ და გადაწყვიტა გადასცეს იგი ფართო საწარმოო შემოწმებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ციმბირის, უკრაინის, ამიერკავკასიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების რძის მრეწველობის საწარმოებში. (საკდესი).

## ახალი ბაქოს სახე

ბაქო, 22 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა არქიტექტორთა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ბაქოს ანსამბლური განაშენიანების საკითხებს. სესიამ მოისმინა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქიტექტურისა და ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. უსეინოვის, ქალაქის მთავარი არქიტექტორის ამხ. ივანოვისა და სხვების მოხსენებანი. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთისა და საქართველოს არქიტექტორებმა.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ. უსეინოვმა განაცხადა:

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაქო გაიზარდა, დამშვენდა მონუმენტური შენობებით, ბაღებით, პარკებით, სკვერებით. გასწორდა და გაფართოვდა მისი ქუჩები და მოედნები. განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა მშენებლობა ომისშემდგომ წლებში. ბაქოში აშენდა ისეთი დიდი ნაგებობანი, როგორიც არის მთავრობის თერთმეტსართულიანი სახლი, რესპუბლიკური სტადიონი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მთელი რიგი მდიდრულად გაფორმებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

დიდებული ანსამბლი იქნება სტალინის პროსპექტი, რომელიც ქმნის ქალაქის ხედს ზღვიდან. პროსპექტს აკრავს ქალაქის ცენტრი — სტალინის ვრცელი მოედანი და მთავრობის სახლი. პროსპექტზე მთავრდება მეცნიერთა სახლის მშენებლობა. დაიწყო აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის მუზეუმის, ნავთობის მუშაკთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მთის პარკის რაიონში იქმნება მეორე ანსამბლი, რომლის ცენტრში იქნება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსი. ეს იქნება მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის რაიონი. სხვა ანსამბლები შეიცავენ აზერბაიჯანის დრამატული თეატრის შენობას, რომლის მშენებლობაც დაწყებულია, საჯარო ბიბლიოთეკის, ფოსტამტის, თოთხმეტსართულიანი სასტუმროს, ნავთობის ტექნიკის სახლის, ცენტრალური უნივერმაღის შენობებს, დიდძალ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს. ქალაქს გადასერავენ ახალი ფართო პროსპექტები და ბულვარები.

★





1. მოსკოვის ბუდიონის სახელობის ქარხანა წარმატებით ასრულებს სოფლის მეურნეობის დაკვეთებს. წლის დამდეგიდან ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.300-ზე მეტი კომპლექტი ჰიდრომექანიზმები, რომლებიც გუთნებისა და სხვა სახიდი იარაღების უშუალოდ მძღოლის კაბინიდან მართვის შესაძლებლობას იძლევიან, და ტრაქტორებისა და ავტომობილების დიდძალი სათადარიგო ნაწილები.

ჰიდრომექანიზმების აწყობაში კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ამწყობ ზეინკლებს კომკავშირელებს ა. აშმაროვს, ფ. რიხლოვსა და პ. ბობროვს. ისინი 200 პროცენტით ასრულებენ ნორმებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაკეთობას იძლევიან. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამწყობი ზეინკლები ა. აშმაროვი, ფ. რიხლოვი და პ. ბობროვი ჰიდრომექანიზმების აწყობაზე. 2. ბელორუსიის სსრ. მინსკის კრუპსკაიას სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო კორპუსი. ქალის პალტოებისა და კოსტიუმების საკერავ საამქროში სამი კონვეიერი დადგეს. აქ ყოველდღე დაამზადებენ 600-ზე მეტ პალტოსა და კოსტიუმს. სურათზე (წინა პლანზე): ოსტატები კომკავშირელები ნინო შიშკო (მარცხნივ) და ალექსანდრა ლომაკო იბარებენ მზა კოსტიუმებს.

ფოტო ვ. აკიმოვისა და მ. მინკოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი იღებს ნაშრომებს 1953 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად.

განსახილველად მიიღება:

ა) მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული შრომები და სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოქვეყნდა 1951, 1952 და 1953 წლებში და ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღეს (ხელნაწერები განსახილველად არ მიიღება);

ბ) თვალსაჩინო გამოგონებანი და საწარმოო მუშაობის მეთოდების საფუძვლიანი გაუმჯობესებანი, რომლებიც ათვისებულ და დანერგილ იქნა სახალხო მეურნეობაში 1951, 1952 და 1953 წლებში.

ზემოაღნიშნულ ნაშრომებს ადგენენ სამეცნიერო დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ნაშრომები უშუალოდ ავტორებისაგან არ მიიღება.

წინადადებანი 1953 წლის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ უნდა გამოიგზავნოს 1954 წლის 15 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ჟდანოვის ქუჩა 11, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი.

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

## საირიგაციო მშენებლობა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლებში, წერს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, ჩინეთში დიდი გაქანება მიეცა ჰიდროტექნიკურ მშენებლობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან 1953 წლის ოქტომბრამდე, არასრული ცნობებით, ჩინეთის მდინარეებზე ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა მოცულობა შემდეგი მონაცემებით გამოიხატება: მიწის სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა 2.680 მილიონი კუბური მეტრი, ქვის სამუშაოთა მოცულობამ — 17 მილიონზე მეტი კუბური მეტრი, ჩასხმულია 630 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი.

საირიგაციო ნაგებობათა ასაშენებლად დიდი მუშაობა შესრულდა გლეხთა მინდვრებში. ოთხი წლის მანძილზე ჩინეთის სხვადასხვა რაიონში აშენდა 250-ზე მეტი დიდი და 4 მილიონზე მეტი მცირე ნაგებობა, ამოღებულია 800 ათასზე მეტი ჭა. ამავე ხნის განმავლობაში გლეხებს ნისიად მიეცა 500 ათასზე მეტი წყლის ბორბალი. მთელმა ამ ნაგებობებმა გლეხთა მინდვრების სარწყავ ფართობს შემატა 54 მილიონზე მეტი მუ (მუ უდრის 0,06 ჰექტარს).

ჩრდილოეთ ჩინეთში ახლა მიწის სარწყავი ნაკვეთების თვითეული მუ 30-45 კილოგრამით მეტ მარცვლეულს იძლევა, ვიდრე საირიგაციო სამუშაოთა შესრულებამდე, ცალკეულ შემთხვევებში კი მოსავალი ერთიორად გადიდდა. სამხრეთ ჩინეთში, სადაც მშრალი მიწები წყლით უზრუნველყოფის გამო სარწყავ ბრინჯის მინდვრებად გადაიქცა, მოსავალი რამდენჯერმე გადიდდა. მთელ რიგ ადგილებში დამატებითი მორწყვის შემდეგ ბრინჯის მინდვრებში ერთი მოსავლის ნაცვლად ორს და ორის ნაცვლად სამ მოსავალს იღებენ. ჩინეთის ცალკეულ სამხრეთ რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავალი 30 და მეტი პროცენტით გადიდდა.

დიდ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩინეთის ბევრი რაიონის გლეხთა ცხოვრების პირობები. მაგალითად, საირიგაციო სამუშაოებმა, რომლებიც შესრულდა მდინარე ხუანხედან წყლის გამოსაყვანად მინდვრების მორწყვისა და მდინარე ვეიხეს წყლის მარაგის გადიდებისათვის, რამდენიმე ასეული ათასი მუ გვალვიანი მიწა ნოყიერ მინდვრებად გადააქცია.

## ალბანეთის მშრომელთა საწარმოო წარმატებანი

ტირანა, 22 დეკემბერი. (საკდესი). ალბანეთის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა, სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ბევრმა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური საწარმოო გეგმები.

18 დეკემბრისათვის წლიური გეგმა შეასრულეს აგრეთვე ალბანეთის რკინიგზელებმა. შარშანდელთან შედარებით მათ გადაზიდეს 2,7 პროცენტით მეტი ტვირთი და გადაიყვანეს 62 პროცენტით მეტი მგზავრი.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს რესპუბლიკის მტს-ებმა. 12 დეკემბრისათვის მათ 105,4 პროცენტით შეასრულეს თავიანთი გეგმა, მაშინ როცა სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით 56 პროცენტით გადიდდა.

## ახალი რკინიგზის ხაზი ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რეგულარული მიმოსვლა დაიწყო ახალ რკინიგზის ხაზზე ბრნოსა და გავლიჩკოვი ბროდს შუა.

ხუთწლედის ეს ობიექტი ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უდიდესი მშენებლობაა. რკინიგზის სიგრძე 120 კილომეტრია.

## ბულგარეთის ქიმიური მრეწველობის განვითარება

სოფია, 21 დეკემბერი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ბულგარეთში შეიქმნა ქიმიური მრეწველობა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა ი. ბ. სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატი, ს. კირაჯიევის სახელობის ცელულოზის ქარხანა და ახლა შენდება კარლ მარქსის სახელობის სოდის ქარხანა. ბულგარეთში ამზადებენ აზოტოვან სასუქებს, სიმჟავეებს, ცელულოზს, ანილინის საღებავებს, სათრიმლავ ექსტრაქტებს, სინთეზურ ფისსა და სხვა ქიმიკალიებს, რომლებიც წარსულში ბულგარეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. ამჟამად ბულგარეთს ქიმიური პროდუქტები გააქვს.

სახელმწიფო გაერთიანება „ქიმიური მრეწველობის“ მუშაკებმა წლიური გეგმა ვადაზე 27 დღით ადრე შეასრულეს. მიმდინარე წლის 11 თვის მანძილზე ქიმიურმა მრეწველობამ ბულგარეთს ერთიორად მეტი პროდუქცია მისცა, ვიდრე მთელ 1948 წელს.

ქიმიური მრეწველობის მუშები ფართოდ იყენებენ საბჭოთა ნოვატორების გამოცდილებას.

# არავითარი დანდობა მოღალატეებს!

## მოვსპოთ ბილწი ქვეწარმავლები

ვერავითარი სიტყვა ვერ გამოთქვამს იმ უსაზღვრო აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობას, რასაც ახლა ჩვენ — ქართველი მეცნიერები — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განვიცდით სამშობლოს ბილწი გამყიდველის, ხალხის უბოროტესი მტრის ბერიას და მისი ვერაგი დამქაშების მიმართ.

კაცობრიობის მოდგმას ამ ნაძირალებმა, რომლებმაც დაკარგეს ადამიანური სახის ყოველი ნიშანწყალი და სავსებით ჩაეფლნენ პოლიტიკური და მორალური გახრწნილების წუმპეში, ჩაიდინეს მრავალი უმძიმესი და შემაძრწუნებელი დანაშაული. გარეწარმა ბერიამ და მისმა ბანდამ გაბედეს ხელი აღემართათ გმირი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, რათა წაერთმიათ მისთვის მრავალი წლის თავდადებული შრომითა და ბრძოლით დამკვიდრებული ბედნიერი ცხოვრება, აღედგინათ ხალხისათვის საძულველი კაპიტალისტური წყობილება.

მოღალატეთა ეს წყეული ბანდა, რომელსაც არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე სოციალური დასაყრდენი საბჭოთა სახელმწიფოს შიგნით, იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალების — ჩვენი სამშობლოს ამ უბოროტესი მტრების — უსასიზღრეს აგენტურად გადაიქცა და მათ მხარდაჭერასა და დახმარებაზე ამყარებდა თავისი შავბნელი ზრახვების განხორციელების იმედს.

ქართველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ანგარიშები აქვს ამ ნაძირალებისადმი. ცნობილია, რომ ბერიამ და მისმა დამქაშებმა უაღრესად დიდი ზიანი მიაყენეს საბჭოთა საქართველოს, მის ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას. ქართველი ხალხი, რომელიც მჭიდროდ და ერთსულოვნად არის დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, უმოკლეს დროში აღმოფხვრის და გამოასწორებს იმ საზიანო შედეგებს, რაც ბერიასა და მისი ბანდის მრავალი წლის მტრულმა მოქმედებამ ჩვენს რესპუბლიკაში გამოიწვია.

ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის მოწინავე რაზმი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთსულოვნად უერთებს თავის ხმას მთელი საბჭოთა ხალხის მოთხოვნას, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უბოროტეს მტრებს — ბერიასა და მის დანაშაულებრივ ხროვას მიეზღოს უსასტიკესი სასჯელი. საზიზღარი ქვეწარმავლები ულმობლად უნდა გაისრისონ! — ასეთია ხალხის მოთხოვნა.

**ნ. მუსხელიშვილი,**
აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

## მექანიზატორთა გულისწყრომა

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). მტს-ის ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რაიონის ყველა მშრომელი უსაზღვრო გულისწყრომას გამოთქვამენ ბერიას და მის თანამზრახველთა გამცემლური საქმიანობის გამო. ხალხმრავალ კრებებზე კოლმეურნეები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სამშობლოს მოღალატეებს.

მექანიზატორთა კრებაზე გეგეჭკორის მტს-ის მთავარმა ინჟინერ-მექანიკოსმა ი. მარგველაშვილმა განაცხადა:

— უსაზღვროა ჩვენი მრისხანება და სიძულვილი ხალხის დაუძინებელი მტრის ბერიას და მის მიერ შეკოწიწებული მკვლელთა ბანდისადმი. სამშობლოს ეს გამყიდველნი ყველაფერს სჩადიოდნენ, რათა განეხორციელებინათ თავიანთი ბნელი ზრახვები — ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის ხელმძღვანელობა და დაენგრიათ კომუნისტური პარტია — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მაგრამ მოღალატეთა ყველა ვარაუდი ჩაიფუშა. მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ ამხილეს საზიზღარ გამყიდველთა ნამდვილი სახე და ზრახვები.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მტს-ის მთავარმა აგრონომმა ვ. თოდუამ, ზოოტექნიკოსმა მ. ჩიქოვანმა და სხვებმა, რომლებმაც ერთსულოვნად მოითხოვეს უცხოეთის დაზვერვის აგენტების — მოღალატე ბერიას და მის თანამზრახველთა უსასტიკესად დასჯა.

## საყოველთაო ზიზღი სამშობლოს მოღალატეებს!

საბჭოთა ხალხის მტრის ბერიას საზიზღარი დანაშაული თავისი პიროვნების განდიდებისა და მმართველობის სათავეში მოქცევისათვის ჩრდილავს ყოველგვარ ბოროტებას, რაც კი ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს. ვეცნობით უმაგალითო ვერაგობის ფაქტებს, სამშობლოს საზიზღარ მოღალატეთა ავაზაკურ მოქმედებას, და ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. რამდენი პატიოსანი ადამიანის სისხლით არის მოსვრილი მათი ხელები!

საყოველთაო ზიზღი სამშობლოს მოღალატეებს, იმპერიალიზმის მოსყიდულ აგენტებს!

**შალვა დამბაშიძე,**
სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

# სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში

1953 წლის 18-23 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — სპეციალური სასამართლო საკრებულოს თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი და საკრებულოს წევრები: სრულიად საკავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ლ. ზეიდინი, არმიის გენერალი კ. ს. მოსკალენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ა. მიხაილოვი, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. კუჩავა, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ა. გრომოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კ. ფ. ლუნევი — დახურულ სასამართლო სხდომაზე, 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით დადგენილი წესით განიხილა საქმე ლ. პ. ბერიას და სხვათა ბრალდების შესახებ.

საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, სამართალში მიცემული იყვნენ: ლ. პ. ბერია, რომელსაც ბრალად ედება რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ", 58-8, 58-13, 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი; ვ. ნ. მერკულოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, ბ. ზ. ქობულოვი, ს. ა. გოგლიძე, პ. ი. მეშიკი, ლ. ე. ვლოძიმირსკი, რომელთაც ბრალად ედებათ რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ", 58-8, 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

სასამართლო გამოძიებით მთლიანად დადასტურდა წინასწარი გამოძიების მასალები და ყველა ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდებანი, რომლებიც მოყვანილია საბრალდებო დასკვნაში.

სასამართლომ გამოარკვია, რომ, უღალატა რა სამშობლოს და მოქმედებდა რა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის, ბრალდებულმა ბერიამ შეაკოწიწა საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული შეთქმულთა მოღალატური ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ ბერიასთან მრავალი წლის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავშირებული ბრალდებულები ვ. ნ. მერკულოვი, ვ. მ. დეკანოზოვი, ბ. ზ. ქობულოვი, ს. ა. გოგლიძე, პ. ი. მეშიკი და ლ. ე. ვლოძიმირსკი. შეთქმულები თავიანთ დანაშაულებრივ მიზნად ისახავდნენ გამოეყენებინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის წინააღმდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეყენებინათ პარტიასა და მთავრობაზე მაღლა, რათა ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, მოესპოთ საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობილება, მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია და აღედგინათ ბურჟუაზიის ბატონობა.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი მოღალატური საქმიანობა და უცხოეთის დაზვერვებთან ფარული კავშირის დამყარება დაიწყო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს, როცა 1919 წელს ლ. პ. ბერიამ ბაქოში ყოფნის დროს გამცემლობა ჩაიდინა, დაიკავა რა საიდუმლო-აგენტური თანამდებობა აზერბაიჯანის კონტრრევოლუციური მუსავატისტური მთავრობის დაზვერვაში, რომელიც ინგლისის დაზვერვის ორგანოების კონტროლით მოქმედებდა.

1920 წელს ლ. პ. ბერიამ საქართველოში ყოფნის დროს კვლავ ჩაიდინა გამცემლობა, ფარული კავშირი დაამყარა რა საქართველოს მენშევიკური მთავრობის საიდუმლო პოლიციასთან, რომელიც აგრეთვე ინგლისის დაზვერვის ფილიალი იყო.

შემდგომ წლებში, დაპატიმრებამდე, ლ. პ. ბერიას ჰქონდა და აფართოებდა ფარულ კავშირს უცხოეთის დაზვერვებთან.

მრავალი წლის მანძილზე ლ. პ. ბერია და მისი თანამზრახველები გულმოდგინედ ფარავდნენ და ნიღბავდნენ თავიანთ მტრულ საქმიანობას.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, იმედს ამყარებდა რა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ რეაქციული იმპერიალისტური ძალების საერთო გააქტიურებაზე, ლ. პ. ბერიამ დააჩქარა მოქმედება თავისი ანტისაბჭოთა მოღალატური ზრახვების განსახორციელებლად, რის მეოხებითაც მოკლე ხანში მოხერხდა ლ. პ. ბერიას და მის თანამონაწილეთა მხილება და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა.

გახდა რა 1953 წლის მარტში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბრალდებულმა ლ. პ. ბერიამ, ამზადებდა რა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, გამალებით დაიწყო შეთქმულთა ჯგუფის მონაწილეების დაწინაურება ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ისე მის ადგილობრივ ორგანოებში. ლ. პ. ბერია და მისი თანამზრახველნი დევნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პატიოსან მუშაკებს, რომლებიც უარს ამბობდნენ შეესრულებინათ შეთქმულთა დანაშაულებრივი განკარგულებანი.

თავიანთი ანტისაბჭოთა მოღალატური მიზნებით ლ. პ. ბერიამ და მისმა თანამონაწილეებმა განახორციელეს მთელი რიგი დანაშაულებრივი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გამოეცოცხლებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ნაშთები მოკავშირე რესპუბლიკებში, დაეთესათ მტრობა და განხეთქილება სსრ კავშირის ხალხებს შორის და უწინარეს ყოვლისა ძირი გამოეთხარათ დიდ რუს ხალხთან სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის.

მოქმედებდა რა როგორც საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტერი, ბრალდებული ლ. პ. ბერია, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო სიძნელეთა შექმნის მიზნით საბოტაჟს უწევდა, ხელს უშლიდა პარტიისა და მთავრობის იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის აღმავლობა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

გამორკვეულია, რომ, ფარავდნენ და ნიღბავდნენ რა თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას, ბრალდებული ლ. პ. ბერია და მისი თანამზრახველები სჩადიოდნენ ტერორისტულ აქტებს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა მხრიდან ისინი მოელოდნენ მხილებას. თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად შეთქმულებმა აირჩიეს ცილისწამება, ინტრიგები და სხვადასხვა პროვოკაცია პატიოსანი პარტიული და საბჭოთა მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ლ. პ. ბერიას და მის თანამზრახველთ შეესრულებინათ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული მოღალატური ზრახვები და შეპარულიყვნენ ხელისუფლებაში.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულებმა ლ. პ. ბერიამ, ვ. ნ. მერკულოვმა, ვ. გ. დეკანოზოვმა, ბ. ზ. ქობულოვმა, ს. ა. გოგლიძემ, პ. ი. მეშიკმა და ლ. ე. ვლოძიმირსკიმ, იყენებდნენ რა თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, ჩაიდინეს მთელი რიგი უმძიმესი დანაშაულობანი, რათა გაექლიტათ პატიოსანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმისადმი ერთგული კადრები.

სასამართლომ აგრეთვე გამოარკვია ლ. პ. ბერიას დანაშაულობანი, რომლებიც მოწმობენ მის დიდ მორალურ გახრწნას და ბერიას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ანგარებითი მოქმედებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ყველა ბრალდებულის დანაშაული მათთვის წაყენებულ ბრალდებებში მთლიანად დამტკიცდა სასამართლოში ნამდვილი დოკუმენტებით, ნივთიერი საბუთებით, ბრალდებულთა საკუთარი ჩანაწერებით, მრავალი მოწმის ჩვენებით.

დამამტკიცებელი საბუთებით მხილებულმა ბრალდებულებმა ლ. პ. ბერიამ ვ. ნ. მერკულოვმა, ვ. გ. დეკანოზოვმა, ბ. ზ. ქობულოვმა, ს. ა. გოგლიძემ, პ. ი. მეშიკმა და ლ. ე. ვლოძიმირსკიმ სასამართლო გამოძიებაზე დაადასტურეს, წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენებანი და თავი დამნაშავედ ცნეს მთელ რიგ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულობათა ჩადენაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ გამოარკვია ბრალდებულ ლ. პ. ბერიას დანაშაული — სამშობლოს ღალატი, ანტისაბჭოთა შეთქმულებრივი ჯგუფის შექმნა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენის მიზნით; ტერორისტული აქტების ჩადენა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი ერთგულ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ; აქტიური ბრძოლა რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბაქოში 1919 წელს, როცა ბერიას საიდუმლო-აგენტურული თანამდებობა ეკავა აზერბაიჯანის კონტრრევოლუციური მუსავატისტური მთავრობის დაზვერვაში, ამყარებდა რა იქ კავშირს უცხოეთის დაზვერვასთან, ხოლო შემდეგ ჰქონდა და აფართოებდა ფარულ დანაშაულებრივ კავშირს უცხოეთის დაზვერვებთან მხილებისა და დაპატიმრების მომენტამდე, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ", 58-8, 58-13, 58-11 მუხლებით.

სასამართლომ გამოარკვია ბრალდებულების ვ. ნ. მერკულოვის, ვ. გ. დეკანოზოვის, ბ. ზ. ქობულოვის, ს. ა. გოგლიძის, პ. ი. მეშიკის და ლ. ე. ვლოძიმირსკის დანაშაული — სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტების ჩადენა და ანტისაბჭოთა მოღალატურ ჯგუფში მონაწილეობა, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ" 58-8, 58-11 მუხლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ დაადგინა:

მიესაჯოს ლ. პ. ბერიას, ვ. ნ. მერკულოვს, ვ. გ. დეკანოზოვს, ბ. ზ. ქობულოვს, ს. ა. გოგლიძეს, პ. ი. მეშიკს, ლ. ე. ვლოძიმირსკის სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, კონფისკებულ იქნას პირადად მათი კუთვნილი ქონება, ჩამოერთვათ სამხედრო წოდებანი და ჯილდოები.

განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

## განაჩენი მოყვანილია სისრულეში

გუშინ, 23 დეკემბერს სისრულეში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი ლ. პ. ბერიას, ვ. ნ. მერკულოვის, ვ. გ. დეკანოზოვის, ბ. ზ. ქობულოვის, ს. ა. გოგლიძის, პ. ი. მეშიკისა და ლ. ე. ვლოძიმირსკის მიმართ, რომელთაც მიესაჯათ სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

*მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად*

# მარქსიზმის წარმოშობა რევოლუციური გადატრიალებაა ფილოსოფიაში

ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს ფილოსოფიური იდეალიზმის ყველა ნაირსახეობას წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობის წარმოშობისა და განვითარების პროცესს. ფილოსოფიური აზრის განვითარებაში დიდი გარდატეხა, ნამდვილი რევოლუცია გამოიწვია მარქსისტული ფილოსოფიის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობამ. ისტორიაში პირველად შემუშავებულ იქნა ნამდვილად მეცნიერული რევოლუციური მსოფლმხედველობა, რომელიც არა მარტო სწორად გვიხსნის სამყაროს, არამედ მისი გარდაქმნის მძლავრ იდეურ იარაღსაც წარმოადგენს.

დიადი რევოლუციური მოძღვრება — მარქსიზმი — წარმოიშვა XIX საუკუნის 40-იან წლებში. მისი წარმოშობა განპირობებული იყო საზოგადოების განვითარებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთელი მსვლელობით, მეცნიერული შემეცნების წარმატებებით. მარქსიზმის წარმოშობა წარმოადგენს იმის თვალნათლივ დადასტურებას, რომ მოწინავე საზოგადოებრივ იდეებსა და თეორიებს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური პირობები წარმოშობენ, რომ ისინი ასახავენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებულ მოთხოვნებს, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია ისე, თუ არ არის ახალი, მოწინავე იდეები და თეორიები.

ისტორიული ვითარება, რომელშიც მარქსმა და ენგელსმა ახალი მსოფლმხედველობა შექმნეს, იმით ხასიათდებოდა, რომ დასავლეთ ევროპის იმ დროისათვის მოწინავე ქვეყნებში მტკიცედ დამკვიდრდა და განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწია წარმოების კაპიტალისტურმა წესმა. კაპიტალიზმის გამოჩენასა და განვითარებასთან ერთად წარმოიშვა, ვითარდებოდა და ვაჟკაცდებოდა მუშათა კლასი, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს ბურჟუაზიის მესაფლავისა და სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის როლი. მარქსიზმი არის საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ბოლომდე რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის არსებობის ობიექტური პირობების იდეური ასახვა, მისი ისტორიული ამოცანების მეცნიერული გამოხატულება. მარქსისა და ენგელსის მოძღვრებამ ბრწყინვალე შუქით გაუნათა ყველა ქვეყნის მშრომელებს კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის გზა.

მარქსიზმს, რომელიც გამოიწვია საზოგადოების ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ობიექტურმა პირობებმა, მკვიდრი მეცნიერულ-თეორიული ბაზა აქვს. მარქსმა და ენგელსმა რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის პოზიციებიდან კრიტიკულად გადაამუშავეს ყოველივე ის, რაც მათზე ადრე დაეგროვებინა მოწინავე მეცნიერულ აზრს, და შექმნეს ახალი, მსოფლიოს გარდამქმნელი მოძღვრება. მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — მისი ფილოსოფია, ეკონომიური მოძღვრება და მეცნიერული სოციალიზმი — წინანდელ შეხედულებათა უბრალო განვრცობა კი არ არის, არამედ თვისობრივად ახალი საფეხურია მეცნიერული შემეცნების განვითარებაში.

მარქსისტული ფილოსოფია კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც კი დასაფასებელი მოგვცა ფილოსოფიურმა აზრმა თავისი განვითარების მთელ წინანდელ ისტორიაში. დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოიშვა და გაიზარდა ბუნებათმეცნიერების მიღწევათა გრანიტის საძირკველზე, ბუნებისმეტყველების, სხვადასხვა დარგის უახლესი მონაცემების თეორიული განზოგადებისა და შემოქმედებითი გამოყენების შედეგად.

მარქსისტული ფილოსოფიის შექმნისათვის, კერძოდ, მისი დიალექტიკური მეთოდის შემუშავებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამ დიდ აღმოჩენას ბუნებათმეცნიერებაში: ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმთა აღნაგობის უჯრედულ თეორიას, ენერგიის გარდაქმნის კანონს და დარვინის ევოლუციურ თეორიას. ბუნებისმეტყველების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსული მეცნიერული აზრის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. მაგალითად, მატერიისა და მოძრაობის მუდმივობის კანონი პირველად ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღმოაჩინა რუსული მეცნიერების გენიოსმა მ. ვ. ლომონოსოვმა. მეცნიერულ თეორიას უჯრედების შესახებ გასული საუკუნის 20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დამდეგს საფუძველი ჩაუყარა რუსმა მეცნიერმა პ. ფ. გორიანინოვმა.

* * *

მარქსისტული ფილოსოფია ძირეულად განსხვავდება ყველა წინანდელი ფილოსოფიური სისტემისაგან. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობის შემდეგ თვისებრივად სხვა გახდა ფილოსოფიის შინაარსი, შეიცვალა მისი საგანი, მისი დამოკიდებულება სხვა მეცნიერებებისადმი, წარმოიშვა ფილოსოფიის პრინციპულად ახალი დამოკიდებულება საზოგადოების ცხოვრებისადმი. ფილოსოფია გადაიქცა მეცნიერებად, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მარქსამდელი პერიოდის ფილოსოფიური სისტემები, ძალიან იშვიათი გამონაკლისით, ასე თუ ისე ემსახურებოდნენ ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს, გამოხატავდნენ ამ კლასების იდეოლოგიას. მცირერიცხოვან ფილოსოფიურ მოძღვრებათა შორის, რომლებიც გამოხატავდნენ და იცავდნენ ექსპლოატირებული მასების ინტერესებს. განსაკუთრებით გამოირჩევა XIX საუკუნის კლასიკური რუსული მატერიალისტური ფილოსოფია. მისი დიდი წარმომადგენლები — გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი — გამოდიოდნენ როგორც იდეოლოგები ყმა გლეხობისა, რომელიც თავისი განთავისუფლებისათვის იბრძოდა. რუსი რევოლუციური დემოკრატების ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ემსახურებოდნენ რუსეთში მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობილების მოსპობისათვის ბრძოლის საქმეს, მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მაგრამ XIX საუკუნის რუსი მატერიალისტები, მაშინდელი რუსეთის განვითარების ისტორიული პირობების გამო, ვერ ამაღლდნენ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმამდე.

დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობით ისტორიაში პირველად გამოჩნდა მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ყველაზე ჩაგრული და ყველაზე მოწინავე კლასის — პროლეტარიატის ინტერესებს. დიალექტიკური მატერიალიზმი განუყოფელია პროლეტარიატისაგან. იმ მეცნიერული მსოფლმხედველობის მატარებელი, რომელიც სწორად ხსნის ობიექტურ სამყაროს, გვიხსნის ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს, შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი კლასი, რომლის ინტერესები საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მსვლელობას ემთხვევა, რომელიც ამ კანონების მედროშეა და რომელსაც მომავალი ეკუთვნის. სწორედ ასეთი კლასია პროლეტარიატი. დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობის შემდეგ, მარქსის შესანიშნავი თქმით „ფილოსოფია პროლეტარიატში პოულობს თავის მატერიალურ იარაღს", ხოლო „პროლეტარიატი ფილოსოფიაში პოულობს თავის სულიერ იარაღს".

ყველა წინანდელი მოაზროვნე მისწრაფოდა უნივერსალური სისტემების შექმნისაკენ, რაც იწვევდა იმას, რომ ყველა მეცნიერებას ხელოვნურად ახვევდნენ თავს მოგონილ სქემებს, და რაც კონკრეტულ მეცნიერებებს უკარგავდა დამოუკიდებლობას და განვითარების თავისუფლებას. ფილოსოფია გამოდიოდა თითქოს მეცნიერებათა მეცნიერების როლში, რომელიც იქვემდებარებდა ყველა სხვა მეცნიერებას.

მარქსისტული ფილოსოფია, ყველა წინანდელი ფილოსოფიური სისტემის საწინააღმდეგოდ, არ ჩემულობს სხვა მეცნიერებათა მაღლა მდგომი მეცნიერების როლს. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ეყრდნობა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა მონაცემებს, მუდამ მდიდრდება და ვითარდება მეცნიერული ცოდნის წარმატებათა საფუძველზე. მარქსისტული ფილოსოფია ყველა მეცნიერებას აიარაღებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა შეცნობის ერთადერთი მეცნიერული მეთოდით, რითაც ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის უსაზღვრო პროგრესს.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემეცნების მარქსისტულ მეთოდს მეცნიერების განვითარებისათვის, ამას ადასტურებს მეცნიერების ისტორიის მთელი მსვლელობა უკანასკნელ საუკუნეში. მეცნიერები, რომლებიც დაუფლებული არ არიან დიალექტიკურ მატერიალიზმს, გარდუვალად უშვებენ იდეალისტურ შეცდომებს, ეშვებიან მისტიკისა და ხუცობის ჭაობში. თანამედროვე ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში იმპერიალიზმის სწავლული ლაქიები, თავგამოდებით ილაშქრებენ რა დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ, ქადაგებენ რეაქციულ იდეებს, რომლებსაც ნამდვილ მეცნიერებასთან საერთო არა აქვთ რა. მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, რომელიც დიალექტიკურ მატერიალიზმს ეყრდნობა, დაუცხრომლად მიდის წინ და სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს.

მარქსიზმმა ფილოსოფიიდან განდევნა მისტიკა და იდეალიზმი, ამავე დროს დაძლია ძველი მატერიალიზმის შეზღუდულობა. გაქვავებული დოგმატური ფილოსოფიური სისტემები მარქსიზმმა შეცვალა „სამყაროს ნამდვილი დადებითი შეცნობით" (ენგელსი). ფილოსოფიის ამოცანებად მარქსიზმს მიაჩნია ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მეცნიერული ახსნა, ამ მოვლენებისადმი სწორი მიდგომის, ამ მოვლენათა შეცნობის მეცნიერული მეთოდის შემუშავება, რათა, სწორად ავხსნით რა სამყაროს, შესაძლებლობა გვქონდეს შევცვალოთ იგი.

მარქსიზმის წარმოშობა ძველი ფილოსოფიის აღსასრულს მოასწავებდა იმ აზრითაც, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმს როგორც კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობას, პრინციპულად სხვა ადგილი უჭირავს საზოგადოების ცხოვრებაში, ვიდრე ყველა წინანდელ ფილოსოფიურ მოძღვრებას. ძველი ფილოსოფია მოწყვეტილი იყო ხალხს, ცხოვრებას, წარმოადგენდა ერთეულთა „სულით არისტოკრატთა" კუთვნილებას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ წინანდელ ფილოსოფიაში სჭარბობდა სუბიექტივიზმი, პიროვნების კულტი, რომელსაც ქადაგებდნენ არა მარტო იდეალისტები, არამედ მატერიალიზმის ზოგიერთი წარმომადგენლებიც.

წინანდელი ფილოსოფოსების საწინააღმდეგოდ, მარქსი და ენგელსი თავიანთ მოძღვრებას ქმნიდნენ მასების რევოლუციურ მოძრაობაზე დაყრდნობით, მათი ბრძოლის გამოცდილების განზოგადებით. თავიანთ ამოცანად მარქსიზმის ფუძემდებლებს მიაჩნდათ მილიონობით ჩაგრულთა განთავისუფლების საქმისადმი სამსახური, მშრომელთა იდეური აღზრდა და დარაზმვა, კაპიტალისტური მონობისაგან ხალხის მასების ხსნისათვის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისადმი ხელმძღვანელობა.

ი. ბ. სტალინი, აღნიშნავდა რა მარქსისტული ფილოსოფიის ამ უდიდეს განსხვავებას წინანდელი ფილოსოფიური მოძღვრებებისაგან, ამბობდა, რომ მარქსიზმი „...პროლეტართა მასის მოძღვრებაა, მათი დროშაა, რომელსაც პატივსა სცემს და „ეთაყვანება" მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. მაშასადამე, მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე ფილოსოფიური „სკოლის" არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ძლიერდება" (თხზ., ტ. 1, გვ. 328).

მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეები მილიონობით მშრომელთა კუთვნილება გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმი ურყევი თეორიული საფუძველია საბჭოთა საზოგადოებაში განუყოფლად გაბატონებული სოციალისტური იდეოლოგიისა, იგი სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მუშათა კლასის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლის დროშაა.

მარქსიზმის ფილოსოფიის დამახასიათებელი ნიშანია მისი მებრძოლი პარტიულობა. დიალექტიკური მატე-

# ქასპში კვლავ ძველებურად მუშაობენ

## როცა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს „საერთოდ", ზერელედ ხელმძღვანელობენ

სახალხო მატარებლები განუწყვეტლივ დადიან. ვინ იცის, ყოველდღიურად რამდენი მატარებელი აუვლის და ჩაუვლის კასპს. სწორედ ამითაც სარგებლობს აგრონომი ლევან ასიტოვი. მას სისტემატურად ნახავთ სადგურში ბილეთით ხელში.

ასე იყო წინათ და ასე გრძელდება ახლაც. მას უპასუხისმგებლობა ვერ მოაშლევინეს ვერც რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოში მუშაობის დროს და ვერც პარტიის მოწოდების საპასუხოდ სოფელ ალაიანის კოლმეურნეობაში აგრონომად წასვლის შემდეგ. ორ თვეზე მეტია ლ. ასიტოვი სამთავისის მტს-ის შტატში ირიცხება. მაგრამ იგი მუშაობას ისევ ძველებურად განაგრძობს. მას არ ადარდებს ის, რომ კოლმეურნეობამ საშემოდგომო თესვის დავალება 70 პროცენტითაც ვერ შეასრულა, 250 ჰექტარის ნაცვლად ჯვარედინად დათესა მხოლოდ 58 ჰექტარი. სხვა სამუშაოებშიც შეუწყნარებელი ჩამორჩენაა. აგრონომი ასიტოვი კი დასეირნობს კასპსა და თბილისს შორის.

რა მდგომარეობაა თვით სამთავისის მტს-ში, რომელიც კასპიდან ათიოდე კილომეტრით არის დაშორებული?

სოფელ იგოეთს რომ გაივლით, გზის პირზე შეამჩნევთ მტს-ის სახელოსნოს. ორი წელია ეს მტს-ი ჩამოყალიბდა. ამ ხნის განმავლობაში აშენებენ სახელოსნოს და ჯერაც ვერ დაუმთავრებიათ. ქარელის „სოფლმშენის" დირექტორი მ. დვალი კარგა ხანია ირწმუნება: მშენებლობას ხვალ-ზეგ დავამთავრებო. საქმეს კი ბოლო არ უჩანს.

— რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტებს, — თქვა მტს-ის დირექტორმა კ. ჩეჩელაშვილმა, — ამ ყინვაში მინდვრად რა გააძლებინებდა. უნდა ვაღიარო, რომ ნაადრევად, მაგრამ მაინც შევედით დაუმთავრებელ სახელოსნოში. თუმცა აქაც ცივა, მას ფანჯრები არა აქვს. ტრაქტორების რემონტში ჩამორჩენაა. ექვსი ტრაქტორის ნაცვლად შევაკეთეთ ოთხი. არა გვაქვს „დტ-54" მარკის ტრაქტორების ნაწილები — უკანა ხიდი, ბლოკის სახურავები... არა გვაქვს ფარდულები. ამის გამო მანქანები მინდვრად ყრია, ეზოც შემოუკავებელია.

მტს-ის მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ აქ არ იგრძნობა ახლად მოსული სპეციალისტების, მთელი კოლექტივის მზრუნველი ხელი. სამწუხაროდ, არც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ეხმარებიან მტს-ის მუშაკებს.

მტს-ი კვლავ განიცდის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების სიმცირეს. სოფელ იგოეთის კოლმეურნეობაში არა ჰყავთ არც აგრონომი, არც ზოოტექნიკოსი. სახელოსნოს გამგედ ინჟინერ-მექანიკოსის ნაცვლად მუშაობს დაბალი განათლების მქონე ს. გოგიჩაიშვილი. აქ არა ჰყავთ აგრეთვე ინჟინერ-კონტროლიორი, შრომატევად სამუშაოთა ინჟინერ-მექანიკოსი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-მელიორატორი და სხვა დარგის ზოგიერთი სპეციალისტი.

მტს-ი თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ წელს კოლმეურნეობებში 2.000 ჰექტარის ნაცვლად ჯვარედინად დაითესა მხოლოდ 1.226 ჰექტარი.

* * *

კასპის მტს-ის კანტორაში გამოკრულია კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმა". იგი იტყობინება, რომ აქ ბევრი სპეციალისტი მოვიდა. პირველ ხანებში საქმეს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. მაგრამ, — ნათქვამია წერილში, — სპეციალისტებს სამუშაო ოთახები არა აქვთ. ისინი მორიგეობით უსხედან მაგიდებს.

როგორც ჩანს, ამ სიგნალისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამიტომ ამ მხრივ მტს-ში მდგომარეობა არ შეცვლილა. მტს-ის შენობის თითქმის ნახევარი კი დაკავებული აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს.

კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას აგრონომიც ჰყავს და სხვა სპეციალისტებიც. კოლმეურნეობა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის, როგორც იტყვიან, ყურის ძირშია. მაგრამ მათგან კონკრეტული ხელმძღვანელობა არ იგრძნობა. მაშ რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სწორედ ამ კოლმეურნეობას 21 დეკემბრისთვისაც არ ჰქონდა დამთავრებული შაქრის ჭარხლის ამოღება. სერიოზული ჩამორჩენაა სხვა სამუშაოებშიც.

რაიონის ცენტრიდან არც ისე შორს არის მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. მაგრამ მეცხოველეობის ფერმები ბედის ანაბარად მიუტოვებიათ. ეს ფერმები გზის პირზეა. ერთი შეხედვითვე შეამჩნევთ იქ გამეფებულ უწესრიგობას. ფერმების წინ მოედანზე დაყრილია ჩალა და ნამჯა. ეზო შემოკავებული არ არის.

საზოგადოებრივი პირუტყვის წესიერი გამოზამთრებისათვის არავინ ზრუნავს. სადგომში 90-ზე მეტი ძროხა ისე მჭიდროდ არის მოთავსებული, რომ პირუტყვს დაწოლაც ვერ მოუხერხებია. საკვებს დაუჭრელად აძლევენ. ფერმაში 15 სული ჯიშიანი ძროხა და ოთხი ბუღა ერთად აბია. მათ ჭუჭყი ჭამს, რადგან დიდი ხანია არ გაუწმენდიათ. წყლის უქონლობის გამო 20 და 21 დეკემბერს ძროხებისათვის კონცენტრირებული საკვები არ უჭმევიათ. ძროხების უმრავლესობა დაჯანდაგებულია. ცხადია, ასეთ პირობებში ძროხა რძეს უხვად ვერ მოგვცემს.

კასპის მტს-ის სახელოსნო კვლავ ცუდ მდგომარეობაშია. იარაღ-მანქანების შესანახი არა აქვთ. არსებული ორი ფარდულიდან ერთი დაინგრა. მინდვრად მოწყობილი არ არის მანქანა-იარაღების შესანახი ფარდული, ტრაქტორისტთა სადგომები. ოც დღეზე მეტია ორი ტრაქტორი, ერთი სათესი მანქანა და გუთნები მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ახლოს მინდორში ყრია. სათანადო ნაწილების უქონლობის გამო ტრაქტორების რემონტი ფერხდება. ორ თვეზე მეტია „დტ-54" მარკის ტრაქტორი, რომელიც სამუშაოდ იყო გასული, ნაწილის დაზიანების გამო უმოქმედოდ დგას სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობაში. მტს-ს ესაჭიროება 30-მდე ტრაქტორისტი. მოსამზადებლად კი გაგზავნილი ჰყავთ მხოლოდ 13.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც. კასპელმა მექანიზატორებმა როგორც იქნა მოახერხეს მეტეხის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში საკვების დამაორთქლებელი მანქანის დადგმა. მაგრამ კოლმეურნეობაში მას არ იყენებენ...

მტს-ში სრულიად არ ზრუნავენ სპეციალისტების საყოფაცხოვრებო პირობებისათვის.

* * *

შედარებით უკეთესი სურათია თეძამის მტს-ში. იგი წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო. მაგრამ მტს-ის ხელმძღვანელობამ, ახლად მოსულმა სპეციალისტებმა დასახეს ჩამორჩენის გამოსწორების ღონისძიებანი. მათს მონდომებულ მუშაობას სასურველი შედეგი მოჰყვა. მტს-მა გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო ხვნის, თესვისა და მზრალად ხვნის დავალება. ორი ათასი ჰექტარის ნაცვლად ჯვარედინად დაითესა 2.774 ჰექტარი. გადაჭარბებით შესრულდა ბაღ-ვენახებში საშემოდგომო ხვნის დავალებანი, სილოსის ჩადების გეგმა. ამ შემოდგომაზე მთის სოფლებში პირველად ახმაურდნენ ტრაქტორები. ჩაჩუბეთის, რკონის, გოსტიბის, ზენადრისის, გოგოთის, სამოჭალოს კოლმეურნეობებში ათობით ჰექტარი ნიადაგი მოხნეს. გოსტიბელებს წელს პირველად გაულეწეს 47 ტონა პურეული. მტს-ში ზრუნავენ სპეციალისტების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ამ მტს-ის მუშაობაშიც არის ნაკლოვანებანი. კოლმეურნეობებში მეცხოველეობა მეტად ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. მტს-ის სახელოსნო ძლიერ პატარა და კეთილმოუწყობელია. არა აქვთ მანქანების შესანახი ფარდულები, საწვავის ტუმბოს გამოსაცდელი სტენდი და სხვ.

* * *

კასპის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი იმას მოწმობს, რომ პარტიის კასპის რაიკომი და მისი პირველი მდივანი ამხ. ლ. ჯავახიშვილი „საერთოდ", ზერელედ ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას, არ არიან ადგილებზე არსებული მდგომარეობის კურსში, და, რაც მთავარია, არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის.

სოფლის მეურნეობისადმი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობის ასეთი უხეირო სტილი ხელს უშლის კასპის რაიონს თავი დააღწიოს სისტემატურ ჩამორჩენას.

**ნ. ჯანჯღავა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



სურათზე: ზუგდიდის სასტუმრო „ოდიში".
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## 7 მილიონი მანეთი ნელთა ნამსახურობისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები ყოველწლიურად მილიონობით მანეთს იღებენ ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის. წელს ჭიათურელი მაღაროელები 7 მილიონამდე მანეთს იღებენ. მარტო ლენინის სახელობის მაღაროს მუშაკებს 2.100.000 მანეთი ეძლევათ. ჭიათურელი სტახანოველები პ. ბოყოველი, ტ. ფოფხაძე, პ. მიროტაძე, კ. ღავთაძე, ს. ოთინაშვილი, გ. თოდაძე, ა. გაფრინდაშვილი და სხვები ნამსახურობისათვის 3.000-4.000 მანეთს იღებენ.

## სოფლის რადიოფიცირება

ყვარელი. (საკ. კორ.). ახალსოფელი რაიონის ცენტრს დაშორებულია და რადიოსატრანსლაციო ხაზის გაყვანა ძნელი იყო. კოლმეურნეები რადიოგადაცემებს ვერ ისმენდნენ. ლენინისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობებმა კოლმეურნეთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მოაწყეს რადიოკვანძი, რომელიც საკუთარი ელექტროძრავით მუშაობს.

ახალსოფელში რადიოფიკაცია დასასრულს უახლოვდება. უკვე მოწყობილია 600 წერტი. ამ დღეებში რადიოწერტებს კიდევ მოაწყობენ 400 ოჯახში.

## დასასვენებელი სახლი

ბათუმი. (საკ. კორ.). მწვანე კონცხზე დამთავრდა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის დასასვენებელი სახლის მშენებლობა.

1954 წლის საკურორტო სეზონში აქ დაისვენებს საავტომობილო ტრანსპორტის ორასამდე მუშაკი.

ფელეტონი

# „მკვდარი სულები"

არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენ აქ ლაპარაკი გვქონდეს დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის გენიალურ ნაწარმოებზე.

თუმცა ერთი რამ საგულისხმოა თუ „მკვდარი სულების" გმირი ჩიჩიკოვი მოგზაურობდა და გამდიდრების მიზნით მკვდარ სულებს იძენდა, ამ ფელეტონის მთავარი მოქმედი პირი, პირიქით, ცოცხალ ადამიანებს ხელოვნურად მკვდარ სულებად ხდის და მით ისქელებს ჯიბეს...

ამბავი ასე იწყება:

...მიმდინარე წლის ზაფხულში, თვლისის პაპანაქება სიცხეში სოფელ ცაიშს დასასვენებლად ესტუმრა თბილისელი მოქალაქე გრიგოლ ლომინაძე. იგი მოხიბლა სოფლის სილამაზემ — შესანიშნავმა ბაღ-ბოსტნებმა, მშვენიერმა ხეივნებმა, ნაირ-ნაირმა ყვავილებმა, მოჩუხჩუხე წყაროებმა...

ერთ დღეს დამსვენებელი მდინარის პირას იჯდა და ბუნების სილამაზით ტკბებოდა. უცებ თავს წაადგა უცნობი მოქალაქე და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— რა გვარი ბრძანდებით?

— ლომინაძე!

— სახელი?

— გრიგოლ! მაგრამ რატომ გაინტერესებთ ჩემი ვინაობა? თქვენ ვინა ხართ? — იკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ლომინაძემ.

— მე, ძვირფასო, გახლავართ ცნობილი ცაიშელი ექიმი და მწერალი ომეხი ქარჩავა. ასე დავდივარ და ვეძებ ჩემი შემოქმედების გმირებს, — თქვა მან და თან ბლოკნოტში ჩაინიშნა დამსვენებლის ვინაობა.

საღამოა. ქარჩავა კაბინეტში ზის და კალამს აწრიპინებს. მან თავისი „თხზულების" შესავალი „ავადმყოფობის ისტორიის" ფურცლის მხატვრული აღწერით დაიწყო. ამ ნაწილში გადმოსცა, რომ მისი ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი გ. ლომინაძე თითქოს მძიმე ავადმყოფი იყო და რამდენიმე კვირა იწვა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის საავადმყოფოში, და რომ მას დაუღალავად მკურნალობდა თვით მთავარი ექიმი ო. ქარჩავა.

თავის „თხზულებაში" ცაიშელ ექიმსა და „მწერალს" ყოველდღე ახალ-ახალი ჩანაწერები შეჰქონდა...

მაგალითად, იქ ამოიკითხავთ ჭითაწყარელი მოსწავლის გ. ხასიას, ბორჯომელ გ. ჭანკოტაძის და მრავალი სხვა ადამიანის სახელსა და გვარს, რომლებიც თითქოს ო. ქარჩავამ განკურნა და რომლებიც სინამდვილეში ამ „ცნობილი" ექიმის პაციენტები არასოდეს არ ყოფილან.

ცაიშელი კალმოსნის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი ნაწარმოების გმირები ხშირ შემთხვევებში მისთვის უცნობი ადამიანები არიან. მათი სახელი და გვარი, როგორც ხანგრძლივად მწოლიარე ავადმყოფებისა მას წიგნში შეაქვს, ამრავლებს, აღრიცხავს, მათ სახელზე ზოგჯერ გამოაქვს პროდუქტები და ითვისებს. ამ გზით მან უკვე მოახერხა 30 ათას მანეთზე მეტის მითვისება.

კომბინატორმა ექიმმა საავადმყოფოს თანამშრომელი ა. რიჟოვა სამუშაოდან გაათავისუფლა, ხოლო მისი გვარი სამუდამოდ აღბეჭდა მისთვის საყვარელ „მკვდარი სულების" წიგნში. რიჟოვას სახელზე ყოველთვიურად იწერდა ხელფასს, უწყისზე თვითონ აწერდა ხელს და სახელმწიფო თანხებსაც თვითონვე იჯიბავდა.

ასეთი ბოროტმოქმედების ფაქტები ო. ქარჩავას ცხოვრებაში ერთეული როდია...

მან სრულიად დაკარგა საბჭოთა ინტელიგენტის სახე. იგი საავადმყოფოში მწოლ ავადმყოფთათვის განკუთვნილი ულუფით ძმა-ბიჭებს უმასპინძლდებოდა.

მკითხველი ალბათ იტყვის: ნუთუ საბჭოთა ექიმის სახელის შემრცხვენის ამ „შემოქმედებას" დღემდე არავინ იცნობს? როგორ არა! მას კარგად იცნობენ ზუგდიდის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე შ. კვირკველია და ბუღალტერი ი. ქარჩავა. ისინი ხშირად ჩადიან ცაიშში, „სწავლობენ" ექიმ ქარჩავას მოღვაწეობას, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ არარსებულ ავადმყოფთა აღრიცხვის წიგნს — „მკვდარ სულებს", მაგრამ რატომღაც არაფერს ამბობენ.

ანდა როგორ უნდა თქვან, როცა პირი პურმარილით აქვთ სავსე.

**ა. გოცირიძე.**

რედაქციის ფოსტიდან

# „...სუფთა და ბიბ-კური ხელით"...

ბევრი რამის შემოკლება და შემცირება შეიძლება. მაგრამ ყველაფრის შემოკლება და შემცირება, ვფიქრობთ, არ ივარგებს. ყველა სიტყვის შემოკლება, ზეპირსიტყვიერებაში იქნება ეს თუ დამწერლობაში მიზანშეუწონელია და ამიტომ არც უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, ამას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში. სიტყვების შემოკლების შედეგად ხშირად ხდება უხეში დამახინჯებანი.

საუბარში და მიწერ-მოწერის წაკითხვისას დაკვირვებული ადამიანი, მაგალითად, ადვილად შენიშნავს ასეთ შემოკლებულ სიტყვებს: ჯანგანი, კომგანი, ფინგანი, განგანი, კოლწევრი, ინდმეურნე, სოფლსაბჭო, კულტსახლი, სახუნტი, და ა. შ.

განა დასაშვებია ამ სიტყვების ამ სახით ხმარება? რა თქმა უნდა, არა.

ჩვენს ხელთ არსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებულის გარდა, არიან ახალი „გამომგონებლები" და სიტყვების შემომკლებლები, რომელთა მიერ ახალი სიტყვების „აღმოჩენა" არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ.

აი ზოგიერთი ამონაწერი წყალტუბოს რაიონის მუხიანის კლუბის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ნაზი ბაბუნაშვილის წერილობითი მოხსენებიდან (დაცულია ავტორის სტილი, რედ.).

— მოგახსენებთ, რომ მუშაობა დავიწყე მუხიანის კლუბთან არსებულ **ბიბ-კაში** 1951 წლის სექტემბრის თვიდან;

— ჩემი (?) **ბიბ-კის** წიგნობრივი ფონდი უდრის 1.500 სხვადასხვა ლიტ-რას;

— **ბიბ-კაში...** წიგნები დამუშავებაა **ბიბ-კურად;**

— **მკ-თა** მიერ წაკითხული წიგნების დაბრუნებისას ვაწარმოებ წაკითხულის გამოკითხვას, რომელსაც **მკ-ები** სათანადო პასუხს სცემენ (?);

— **ბიბ-კაში** სწარმოებს მუდმივი და დროებითი გამოფენები. გამოფენები მოწყობილია... სათანადო ლიტ-რით;

— **ბიბ-კაში** ვახდენ ახლად მიღებულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გარჩევას... ხდება **მკ-თა** მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც მთავარ ამოცანას წარმოადგენს **მკ-სათვის;**

— **ბიბ-კაში** სწარმოებს ახლად მიღებული ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გატარება საინვენტარო წიგნში სუფთა და **ბიბ-კური** ხელით;

— ასეთია მოკლედ ჩემი **ბიბ-კის** მოხსენებითი ბარათი.

როგორც ვხედავთ, სიტყვების წყალტუბოელი „რეფორმატორი" ბიბლიოთეკის ნაცვლად წერს ბიბ-კას, ლიტერატურის ნაცვლად — ლიტ-რას, მკითხველების ნაცვლად მკ-ებს.

ჩვენ შეიძლება ამის შესახებ არაფერი გვეთქვა, რომ ეს მაგალითი გამონაკლისი იყოს. სამწუხაროდ, სიტყვების ასეთი „რეფორმატორები" მარტო სოფელ მუხიანის კლუბში როდი მოღვაწეობენ.

**ვ. ტევრელი.**

რიალიზმას პარტიულობა უწინარეს ყოვლისა თავს იჩენს ფილოსოფიაში მატერიალისტური ხაზის განუხრელი და თანმიმდევრული დაცვით, მარქსიზმისადმი მტრული იდეალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ და მისტიკისა და ხუცობისადმი ყოველგვარ დათმობათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით. ამჟამად დიალექტიკური მატერიალიზმის, ყველა მისი მომხრის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეურიგებელი შეტევითი ბრძოლა თანამედროვე რეაქციული იდეალისტური ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელიც ასახავს იმპერიალიზმის მთელი სისტემის მარაზმს, გახრწნილებას.

იბრძვის რა ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ, მარქსიზმი მას ხდის უპარტიობის ყალბ ნიღაბს, რომლითაც ბურჟუაზიული ფილოსოფია ფარავს თავის კლასობრივ სახეს, თავის რეაქციულ არსს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ზეკლასობრივი, უპარტიო ფილოსოფია.

ფარისევლური ბურჟუაზიული „უპარტიობის" საწინააღმდეგოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია პირდაპირ და აშკარად აცხადებს თავის პარტიულობას, იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, გამოდის როგორც მისი რევოლუციური პარტიის მსოფლმხედველობა. მარქსიზმს არ ესაჭიროება დაფაროს თავისი კლასობრივი არსი, თავისი პარტიულობა, ვინაიდან პროლეტარიატისა და მისი პარტიის ინტერესები ემთხვევა ისტორიული განვითარების ობიექტურ მიმდინარეობას, გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის ძირეულ ინტერესებს, ყველა მშრომელის ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მარქსიზმის, მისი ფილოსოფიის პარტიულობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, საფუძველია თეორიის განუყრელი კავშირი პრაქტიკასთან, ფილოსოფიისა—პოლიტიკასთან. მარქსიზმმა ერთ მთლიანობად შეაკავშირა თეორია და პრაქტიკა, დააყენა თეორია მუშათა კლასისა და მისი პარტიის რევოლუციური პრაქტიკის სამსახურში. კომუნისტური პარტია მარქსიზმს ყოველთვის განიხილავს როგორც საბრძოლო სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის.

რევოლუციური, თავისი ბუნებით ქმედითი მარქსისტული ფილოსოფიის თვალთუულ დებულებას მუშათა კლასის პარტია იყენებს თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსისტული პარტიის პროგრამის, სწორი პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის მეცნიერული საფუძველია, კომუნიზმის თეორიული საძირკველია.

* * *

მარქსამდელ ფილოსოფიაში მატერიალიზმი და დიალექტიკა ერთმანეთს მოწყვეტილი იყო. ამის შედეგად მარქსიზმის წარმოშობის მომენტისათვის მატერიალიზმი მეტაფიზიკური მეთოდის ტყვეობაში აღმოჩნდა, ხოლო დიალექტიკას იდეალიზმი დაეუფლა. ცალკეული მატერიალისტები დასავლეთევროპულ და რუსულ ფილოსოფიაში ღრმა დიალექტიკურ იდეებს გამოთქვამდნენ, მაგრამ ეს იდეები მათ ორგანულად არ ჰქონდათ დაკავშირებული თავიანთ მატერიალისტურ შეხედულებებთან. XIX საუკუნის რუსმა მატერიალისტებმა სცადეს დაეძლიათ დიალექტიკასა და მატერიალიზმს შორის არსებული შეუფარდებლობა, მაგრამ მათ ვერ შეასრულეს ეს ამოცანა.

დიალექტიკური მეთოდის ორგანული შეხამება მატერიალისტურ ფილოსოფიურ თეორიასთან იმ რევოლუციური გადატრიალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, რომელიც ფილოსოფიაში მარქსიზმმა მოახდინა.

მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი ახალი დიალექტიკური მეთოდი პირდაპირ საწინააღმდეგოა ძველი დიალექტიკისა, რომლის ძირითადი ნიშნები ჰეგელმა ჩამოაყალიბა. მარქსმა და ენგელსმა გამოააშკარავეს ჰეგელის დიალექტიკის იდეალისტური ხასიათი, ცხადყვეს, რომ ჰეგელის დიალექტიკა განუყრელად დაკავშირებულია მის რეაქციულ და ანტიმეცნიერულ იდეალისტურ სისტემასთან, გამსჭვალულია იდეალიზმის სულისკვეთებით და დამახინჯებულია იდეალიზმით. მარქსისტული დიალექტიკა სამყაროს მატერიალისტური ახსნის მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დგას. იგი **მატერიალისტური დიალექტიკაა.**

მარქსიზმმა აგრეთვე ძირეულად გარდაქმნა მანამდე არსებული მატერიალისტური თეორია. მარქსისტულმა ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა დაძლია და აღმოფხვრა ძველი მატერიალიზმის, კერძოდ ფოიერბახის მატერიალიზმის ყველა ნაკლოვანება და შეზღუდულობა, — მისი მეტაფიზიკურობა, მჭვრეტელობა, იმის უნარის უქონლობა, რომ ბუნების მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესწავლაზე გაევრცელებინა. მარქსი და ენგელსი შემოქმედნი არიან **დიალექტიკური** მატერიალიზმისა, რომელიც ფილოსოფიური მატერიალიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

მარქსიზმმა დიდი რევოლუციური გადატრიალება მოახდინა საზოგადოების შესახებ არსებულ შეხედულებებში. საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლაზე დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებათა გავრცელებას, ისტორიული მატერიალიზმის გამოჩენას ვ. ი. ლენინმა მეცნიერული აზრის უდიდესი მონაპოვარი უწოდა.

ისტორიულმა მატერიალიზმმა საზოგადოების განვითარება დაგვანახვა როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, რომელიც ობიექტური ეკონომიური კანონების საფუძველზე ხდება. მარქსიზმმა დაამტკიცა, რომ კაცობრიობის ისტორიის მთელი მიმდინარეობა ხდება წარმოების საშუალებათა ცვლილებების საფუძველზე, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების შედეგად. ისტორიულმა მატერიალიზმმა ცხადყო საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლი საზოგადოებრივი შეგნების მიმართ.

ისტორიის მატერიალისტურ ახსნაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტაა მარქსისტული დებულება ხალხის მასების როგორც ისტორიული პროცესის გადამწყვეტი ძალის შესახებ. ისტორიაზე, როგორც „გამოჩენილ პიროვნებათა", ცალკეულ „გმირთა" მოღვაწეობის შედეგზე, ანტიმეცნიერულ, იდეალისტურ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ისტორიის ნამდვილი შემოქმედია ხალხი, მშრომელთა მილიონიანი მასები, რომლებიც ცხოვრების ყველა სიკეთეს ქმნიან.

საზოგადოებრივი განვითარების კანონთა დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნა მარქსიზმში განუყრელად დაკავშირებულია კომუნიზმის მეცნიერულ თეორიასთან. ისტორიის მატერიალისტური გაგების დასაბუთებით მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი კომუნიზმის თეორიული საძირკველია. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დებულებათა საფუძველზე უცილობლად იქნა დამტკიცებული კაპიტალიზმის დაღუპვა და კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილებით მისი შეცვლის გარდუვალობა.

* * *

მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი დიადი რევოლუციური მოძღვრება პროლეტარიატისა თავისი არსებობის ას წელზე მეტი ხნის მანძილზე განუწყვეტლივ ვითარდება და სრულყოფილი ხდება ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. შემოქმედებითად განაზოგადებდა რა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას და უახლესი პერიოდის მეცნიერების მიღწევებს, ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსიზმი, აიყვანა იგი ახალ, უმაღლეს საფეხურზე. ლენინიზმი ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმია. გენიალურმა ლენინმა, ლენინის მოწაფემ და მისი საქმის განმგრძობმა დიდმა სტალინმა გაამდიდრეს და ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად შემდგომ განავითარეს მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — მისი ეკონომიური მოძღვრება, მეცნიერული კომუნიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად სწევს წინ მარქსიზმ-ლენინიზმს, ამდიდრებს მას მასების რევოლუციური შემოქმედების ახალი გამოცდილებით, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევებით.

მარქსისტული ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, სწორად ხსნის რა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასსა და კომუნისტურ პარტიას უჩვენებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის გზას, მეთოდებსა და საშუალებებს. იგი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს აძლევს ახალი, ბედნიერი ცხოვრების აშენების გზების ნათელ გაგებას. პროლეტარიატის მეცნიერული დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების ხელში უბადლო იდეური იარაღია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

**კ. ფროლოვი.**

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# „ფოტოსურათი — გამოცანა"

სარედაქციო შენიშვნაში „ფოტოსურათი — გამოცანა", რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის" 19 ნოემბრის ნომერში, გაკრიტიკებული იყო სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის" და მაიაკოვსკის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის" რედაქციები, რომლებმაც 7 ნოემბრის ნომრებში მოათავსეს მეტად ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი ფოტოსურათები.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციამ „კომუნისტის" კრიტიკული შენიშვნა განიხილა სპეციალურ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ სტალინირის სტამბის წარმომადგენლებიც. სამართლიანად ცნო რა კრიტიკული შენიშვნა, თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი გაზეთში მოსათავსებელი ფოტოილუსტრაციების ხარისხის ასამაღლებლად. ამ თათბირზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ცინკოგრაფიის წესრიგზე მოყვანისა და საჭირო მასალებით მომარაგებისათვის სტალინირის სტამბას სათანადო დახმარებას არ უწევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო.

„კომუნისტის" სარედაქციო შენიშვნა „ფოტოსურათი — გამოცანა" განიხილა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის ბიურომ. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ერთი გარემოება: ბიურომ მიუთითა გაზეთ „წითელი დროშის" რედაქტორს ამხ. დ. ჩუბინიძეს არა დაბალხარისხოვანი, მეტად ბუნდოვანი ფოტოსურათის მოთავსებისათვის, არამედ „ფოტოსურათისათვის შეუსაბამო წარწერის" გაკეთებისათვის (!).

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ „წითელ დროშაში" მოთავსებულ ფოტოსურათზე ასახულია „არა სოფელ მაიაკოვსკის ხედი, არამედ მდინარე ხანისწყლის ხეობის ხედი".

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა წარწერა გაუკეთდებოდა ამ ფოტოსურათს. ფაქტია, რომ ფოტოსურათი იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ მკითხველები ვერ მიხვდნენ, თუ რა იყო მასზე ასახული. საქმის ინტერესი მოითხოვდა, რომ პარტიის რაიკომს მიეთითებინა „წითელი დროშის" მუშაკებისათვის, რომ მათ მომავალში აღარ დაუშვან უხარისხო, არაფრისმთქმელი ფოტოილუსტრაციების მოთავსება გაზეთში.

ცხადია, ამით რაიკომი მხოლოდ დახმარებას აღმოუჩენდა მკითხველებსა და თავის გაზეთს.

# გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„კომუნისტის" რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ მდგომარეობას. კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტების სისწორე „კომუნისტის" კორესპონდენტმა შეამოწმა პარტიის რაიკომთან ერთად.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე გვაცნობებს, რომ გამორკვევის შედეგები განიხილა რაიკომის ბიურომ და კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურებულად ცნო. არასაკმაო მოვლის შედეგად კოლმეურნეობაში ვენახი დაავადებულია ჭრაქითა და ფარიანებით, ვაზი დაკნინებულია, ხშირია მევენახეობის ბრიგადის წევრთა ცვალებადობა.

ბიურომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ჭანუყვაძეს მითითება მისცა და დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა მევენახეობის ბრიგადაში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის, დასახა ჩხავერის ჯიშის ვაზის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭო განიხილავდა სირიის საჩივარს ისრაელის წინააღმდეგ იმ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებიც ისრაელმა დაიწყო დემილიტარიზებულ ზონაში არხის გასაყვანად.

უშიშროების საბჭოში შეტანილია შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივი რეზოლუციის პროექტი და ლიბანის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი. როგორც ვიუწყებოდით, სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი სერიოზულად გააკრიტიკეს მთელმა რიგმა დელეგატებმა. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა გუშინდელ სხდომაზე სამი სახელმწიფოს სახელით შეიტანა გადასინჯული რეზოლუციის პროექტი და ამტკიცებდა, თითქოს ამ პროექტში გათვალისწინებული იყოს ზოგიერთი დელეგატის კრიტიკა.

მაგრამ რეზოლუციის ეს პროექტი არსებითად არაფრით არ განსხვავდება სამი სახელმწიფოს თავდაპირველი რეზოლუციის პროექტისაგან.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ, აღნიშნა რა, რომ სამართლიანია სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის გაკრიტიკება მთელი რიგი დელეგატების მხრივ, განაცხადა, რომ ეს პროექტი შეიცავს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებზეც დათანხმება შეუძლებელია.

ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება წამოაყენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტის გამო გადაწყვეტილება გადაედოთ და ამით შესაძლებელი გაეხადათ ამ პროექტში აღძრული საკითხების დამატებითი შესწავლა, მით უმეტეს, რომ მათ უშუალო კავშირი არა აქვთ სირიის საჩივართან. ამასობაში ისრაელსა და სირიას შესაძლებლობა მიეცემოდათ შეთანხმებულიყვნენ განსახილველ საკითხზე.

ლიბანის წარმომადგენელმა მალიქმაც გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის გადასინჯული პროექტი, განაცხადა რა, რომ ამ პროექტის მეტი წილი პუნქტები „არადამაკმაყოფილებელია".

უშიშროების საბჭოში ხანგრძლივი დისკუსია გაჩაღდა საბჭოთა წინადადების გარშემო. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე საბერძნეთის დელეგატი კირუ ამტკიცებდა, რომ საბჭოს პროცედურის წესების მიხედვით რეზოლუციის შესახებ გადაწყვეტილების გადადება არ შეიძლება. საფრანგეთის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადების წინააღმდეგია.

ა. ი. ვიშინსკიმ, რომელიც სამჯერ გამოვიდა იმის დასაცავად, რომ საჭიროა გადაიდოს სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის კენჭისყრა, განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებანი მცდარია. მან ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამთა პროექტში ისეთი საკითხებია აღძრული, რომლებიც არ შეეხება სირიისა და ისრაელის დავას და რომლებიც სერიოზულად უნდა იქნას განხილული, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ მხარეები თვითონ შეთანხმდნენ დავის მოსაგვარებლად.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს მხარი დაუჭირა ლიბანის დელეგატმა. ჩილის დელეგატმაც განაცხადა, რომ ვიშინსკის წინადადებას ემხრობა.

პაკისტანის დელეგატის წინადადებით საბჭოთა კავშირის წინადადების განხილვა გადაიდო უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომისათვის, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართება.

## საოკუპაციო ხარჯების მძიმე ტვირთი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, ბონის ფინანსთა მინისტრმა შეფერმა ბუნდესრატს (ბონის პარლამენტის ზედა პალატა) აცნობა, რომ, დასავლეთი მაოკუპირებელი სახელმწიფოების ცნობის თანახმად, 1954 წლის 30 ივნისამდე ისინი მოითხოვენ, რომ გადახდილ იქნას საოკუპაციო ხარჯების მთელი გადაუხდელი შესატანი, რაც 2 მილიარდ მარკას აღწევს. შეფერმა შემდეგ აღნიშნა, რომ ამ თანხის ნაღდი ფულით გადახდას „განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს" და ამიტომ „სალაროს რეზერვები უნდა შემცირდეს". ამით შეფერმა აღიარა, რომ ბონის მთავრობის ცდებს — მიაღწიოს იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა დათმონ საოკუპაციო ხარჯების საკითხში, წარმატება არა ჰქონია.

შეფერმა აგრეთვე განაცხადა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელი დამთავრდება 1 მილიარდი მარკის დეფიციტით. 1 მილიარდი მარკის დეფიციტი, რაც 1951 წელს შეიქმნა, ჯერ კიდევ არ არის დაფარული შეიარაღების დიდი ხარჯების გამო.

## მონტევიდეოს ფეიქართა გამარჯვება

მონტევიდეო, 22 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ხუსტისიამ" გამოაქვეყნა ცნობა, რომ დამთავრდა მონტევიდეოს საფეიქრო საწარმოთა მუშების გაფიცვა, რომელიც ნოემბრის დამლევს დაიწყო. გაფიცვაში 16 ათასი კაცი მონაწილეობდა. ფეიქრები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას და საფეიქრო ფაბრიკა „ლა მუნდიალის" დათხოვნილ მუშათა აღდგენას. გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით, რომლებმაც ბრძოლაში სიმტკიცე და ორგანიზებულობა გამოიჩინეს.

## მოსადიკის გასამართლების გამო

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტის ცნობით, დღეს მოსადიკმა უმაღლეს სასამართლოში შეიტანა აპელაცია, რომელშიც აცხადებს, რომ მისი გამსამართლებელი ტრიბუნალი კომპეტენტური არ იყო და შექმნილი იყო უკანონოდ.

## მდგომარეობა თეირანში

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს თეირანში გაავრცელეს მრავალი ფურცელი, რომლებიც შეიცავენ პროტესტს ირანსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ. ირანის დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტებზე გაიმართა სხვადასხვა მიტინგები. სტუდენტები უნივერსიტეტში მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ.

პოლიციამ ორმოცამდე კაცი დააპატიმრა.

## შვეციის დემოკრატიული საზოგადოებრიობა პატივს სცემს მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ანდრეა ანდრეენს

სტოკჰოლმი, 22 დეკემბერი, (საკდესი). შვეციის პროგრესული საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია 1953 წლისათვის მიენიჭა შვეციის აქტიურ საზოგადო მოღვაწეს დოქტორ ანდრეა ანდრეენს.

მაღალი ჯილდოს მინიჭების გამო ანდრეა ანდრეენი მრავალ მილოცვას იღებს.

„მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია, — წერს გაზეთი „ნიუ დაგი", — ანდრეა ანდრეენის პატივისცემაა, შვეციის პატივისცემაა.

ანდრეა ანდრეენი ღირსია ამ პატივისცემისა. მშვიდობის სასარგებლოდ მოღვაწეობა მისი სიცოცხლის დიადი „საქმეა".

ანდრეა ანდრეენმა იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ მას მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა, გაზეთ „ნიუ დაგს" განუცხადა:

„როცა ვფიქრობ სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობისათვის ბრძოლის გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომლებმაც ჩემამდე მიიღეს ეს მაღალი პრემია, კარგად მესმის, რომ ამ პრემიის ღირსი არა ვარ. ამავე დროს მეტად მახარებს, რომ მშვიდობის პრემია შვეციის წარმომადგენელს მიენიჭა. მე ვფიქრობ, რომ ამით აღიარებულია შვეციის ხალხის და ჩრდილოეთის ყველა ქვეყნის ხალხთა წვლილი საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში. ამ პრემიის მონიჭება მიმაჩნია აგრეთვე იმის წახალისებად და სტიმულად, რომ შვეციაში გაძლიერდეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. თვითონ მე 25 წლის მანძილზე ამა თუ იმ სახით ვიღებდი მონაწილეობას ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. წლითიწლობით უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს ბრძოლა საჭიროა ჩვენი შვილებისა და მთელი მსოფლიოს მომავლის ხსნისათვის.

მტკიცედ მწამს, რომ მთელი მსოფლიოს მჭიდროდ დარაზმულ და აქტიურ საზოგადოებრივ აზრს შეუძლია ხელი შეუშალოს ომს, შეუძლია გამოიწვიოს მოლაპარაკება და ამრიგად გზა გაუხსნას მტკიცე მშვიდობას".

## პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის მე-10 ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეებს დღეს 12 საათსა და 30 წუთზე (მოსკოვის დროით) შეიკრიბონ, რათა ერთად გამონახონ „რესპუბლიკის ინსტიტუტების ხსნის" საშუალებანი.

სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა ხელმეორედ მოუწოდა სხვა საპარლამენტო ჯგუფებს მოხსნან თავიანთი კანდიდატები ვენსან ორიოლის სასარგებლოდ.

რადიკალ-სოციალისტთა პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა განაცხადა, რომ მზად არის „იმ შემთხვევაში, თუ ახლანდელი კანდიდატები დათანხმდებიან მოხსნან თავიანთი კანდიდატურები, შეუერთდეს წინადადებას, რომლითაც შეიძლება მიმართონ პრეზიდენტ ორიოლს მისი მანდატის განახლების მიზნით". „მემარჯვენე რესპუბლიკელთა გაერთიანების" ჯგუფი მიემხრო ამ გადაწყვეტილებას.

თავის მხრივ ლანიელმა განაცხადა, რომ იგი „მზად არის მოხსნას თავისი კანდიდატურა, თუ მოხერხდება, რომ უმრავლესობის ჯგუფები შეთანხმდებიან იმ კანდიდატის სახელის შესახებ, რომელსაც შეუძლია განახორციელოს რესპუბლიკელთა კავშირი".

ლანიელმა გამოაცხადა, რომ დღეს დილით ვერსალში, ყველა საპარლამენტო ჯგუფის თათბირამდე, იგი იწვევს ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის საბჭოს უმრავლესობის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირს.

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). პარლამენტის ორივე პალატის 17 საათზე (მოსკოვის დროით) დანიშნული სხდომა დღეს გადატანილ იქნა 23 დეკემბრის 12 საათისათვის. დღეს განუწყვეტლივ წარმოებდა მოლაპარაკება პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის. პარლამენტის იმ ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირზე, რომლებიც მთავრობის ახლანდელ უმრავლესობას ქმნიან, არსებითად გადაწყდა ეძიონ ახალი კანდიდატი ლანიელის ნაცვლად. ლანიელმა განაცხადა, რომ მზად არის მოხსნას თავისი კანდიდატურა, თუ პარლამენტის ჯგუფების თავმჯდომარენი უჩვენებენ მას ისეთ მოღვაწეს, რომელსაც შეუძლია „უზრუნველყოს ერთიანობა".

შექმნილი მდგომარეობა მოწმობს არა მარტო პარტიების გაავებულ ბრძოლას პრეზიდენტის პოსტისათვის, არამედ აგრეთვე პარტიების შიგნით წინააღმდეგობათა არაჩვეულებრივ გამწვავებას. მთავრობის უმრავლესობა ამჟამად გათიშულია, რადგან დავა აქვთ „ევროპის არმიის" შექმნის პროექტისადმი დამოკიდებულების გამო. საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირზე ლანიელმა აღიარა, რომ პარლამენტი „ჩიხში მოექცა" იმის გამო, რომ მთელმა რიგმა მისმა წევრებმა „უღალატეს საკუთარ უმრავლესობას".

ახალი კანდიდატის დასახელების შესახებ მოლაპარაკების განახლებასთან დაკავშირებით ასახელებენ სოციალისტ ვენსან ორიოლს (რესპუბლიკის ახლანდელ პრეზიდენტს) და რადიკალ-სოციალისტ ედუარდ ერიოს, რომელიც დღემდე უარს ამბობდა დაესახელებინა თავისი კანდიდატურა, იმოწმებდა რა ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობას და მოხუცებულობას. როგორც ცნობილია, ერიოს არაერთგზის გამოუთქვამს აზრი „ევროპის არმიის" შექმნის გეგმების წინააღმდეგ.

გაზეთი „ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ ლანიელის მარცხი მოწმობს „სიძნელეებს, რომლებსაც ევროპის არმიის მომხრეები ხვდებიან".

კენჭისყრის ათი ტურის შემდეგ, წერს „ლუმანიტე", ყველა საღად მოაზროვნე ფრანგს გაახარებს „ულტრაევროპელთა გამოუსწორებელი დამარცხება" და ის შესაძლებლობანი, რომლებიც დაისახა კანდიდატის წინაშე, რომელიც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" წინააღმდეგია.

## უმუშევრობის ზრდა ავსტრიაში

ვენა, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „არბაიტერ-ცაიტუნგი" იუწყება, ამჟამად უმუშევართა რიცხვი ავსტრიაში 200 ათასს აღემატება. დეკემბრის პირველ ნახევარში უმუშევართა რიცხვი 35 ათასი კაცით გადიდდა.

## კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

ფხენიანი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ნოდონ სინმუნი" აქვეყნებს ცნობას კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შესახებ, რომელიც ფხენიანში მიმდინარეობდა 18-19 დეკემბერს. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის მუშაობის განმტკიცება;
2. კორეის შრომის პარტიის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კიმ ირმა, მეორე საკითხზე — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ დენ აიმ. განხილული საკითხების გამო მიღებულია სათანადო გადაწყვეტილებანი.

## ჩაიხურა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების VI სესია

ფხენიანი, 23 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების VI სესიამ. სესიაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ მარშალმა კიმ ირ სენმა.

სესიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც იწონებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმ დელეგაციების საქმიანობას, რომლებიც სსრ კავშირში, ჩინეთსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იყვნენ. შემდეგ სესიამ დაამტკიცა უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოიცა უმაღლესი სახალხო კრების V სესიიდან VI სესიამდე.

უმაღლესმა სახალხო კრებამ დაადგინა გაათავისუფლოს უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარის თანამდებობიდან კიმ დარ ხენი და აირჩიოს ამ პოსტზე დეპუტატი ლი ენი.

## ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის ცნობა

პეკინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, 16 დეკემბერს ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ კორეა-ჩინეთის მხარეს აცნობა, რომ ამერიკის მხარის 19 აგენტი სამართალში იქნება მიცემული ტონჯანის ბანაკში 4 კორეელი სამხედრო ტყვის მოკვლისათვის. ბრალდებულნი დააპატიმრეს 13 დეკემბერს, იმის მეორე დღეს, როცა № 38 სექტორში მკვლელობა მოხდა.

ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიისადმი 17 დეკემბრის წერილში კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენელმა გენერალმა ლი სან ჩომ მოითხოვა, რათა კომისია და ინდოელი მცველი ჯარები სერიოზულად მოეკიდონ ამ საქმეს და სასტიკად დასაჯონ მკვლელნი. ეს ახალი მკვლელობა, აღნიშნავს გენერალი ლი სან ჩო თავის განცხადებაში, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კორეელი და ჩინელი ტყვეები ფაქტიურად სასტიკ ტერორს განიცდიან ლისინმანელი და ჩანკაიშელი აგენტების მხრივ.

კორეა-ჩინეთის მხარის 21 სამხედრო ტყვე, რომლებიც მოწმეები არიან მკვლელობის საქმეზე, გამოჰყვეს დანარჩენი სამხედრო ტყვეებისაგან. ყველა ამ ტყვემ კომისიას მიმართა თხოვნით რეპატრიაციის შესახებ. გენერალმა ლი სან ჩომ მოითხოვა, რათა ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ რაც შეიძლება მალე დააბრუნოს ისინი შინ კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმების პირობების შესაბამისად.

## ნადირთმომშენებელ მეურნეობაში





ზღვის დონიდან 1.700 მეტრ სიმაღლეზე, ბაკურიანის მუდამ მწვანე ფერდობებზე მდებარეობს ნადირთმომშენებელი საბჭოთა მეურნეობა. შორიდანვე მოჩანს ფიჭვნარში ახობით ბადურა მავთულხლართის ვეება გალიები, რომელთა შიგნით მოთავსებულ ბინებში მრავლდება ათასობით ძვირფასბეწვიანი მელია.

20 წლის წინათ ბაკურიანში პირველად მოიყვანეს 36 წყვილი კანადის შავვერცხლოვანი მელია. ცხოველები საუცხოოდ შეეგუენ აქაურ ჰავას. მას შემდეგ მეურნეობამ ათეულ ათასობით ძვირფასი ბეწვეული ტყავი და მილიონობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა სახელმწიფოს.

ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში, 1943 წელს, უფროსი ზოოტექნიკოსის ვ. გოირგაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ცდების შედეგად მიღებულ იქნა თეთრი მელიის ჯიში. ერთი წლის შემდეგ ამ მელიის შავვერცხლოვანთან შეჯვარებით დაიბადა აქამდე უცნობი ჯიშის ულამაზესი მელია ზურგზე შავი ზოლით და ფეხებსა და ყურებზე შავი ხალებით. მელიის ამ ჯიშმა დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს მეცნიერთა შორის, ვინაიდან ევროპასა და ამერიკაში ათეულ წლობით არ მოხერხდა მელიის ახალი ჯიშის გამოყვანა. მას „ქართული თეთრი მელია" ეწოდა. გადაწყდა მისი ფართოდ მოშენება. მეურნეობამ ამ ჯიშის ათობით დედალ-მამალი ეგზემპლარი გაუგზავნა მოსახმენებლად სალტიკოვკის, პუშკინოს, კიროვაკანის და ალბულად-მანგლისის ნადირთმომშენებელ მეურნეობებს, სადაც წარმატებით ამრავლებენ მელიის ამ ძვირფას ჯიშს.

მეცხოველე სპეციალისტებმა წლობით იმუშავეს მელიების ბეწვეულის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აქ მელიების კვებაში პირველად იქნა გამოყენებული აბრეშუმის ჭუპრი სპეციალური რაციონით. შედეგმა საუცხოო გამოდგა, 10-ჯერ გაიაფდა ბეწვეულის თვითღირებულება, გაუმჯობესდა მისი ხარისხი. ბაკურიანის შავვერცხლოვანთა ბეწვეული ხარისხით ბევრად ჯობს კანადელი წინაპრების ბეწვეულს, რომელმაც მიიღო ხავერდოვანი სირბილე და აბრეშუმისებური ბრწყინვა.

მეურნეობამ წელს მოსკოვის № 1 ბეწვეულის დამამზადებელ ფაბრიკას გაუგზავნა თეთრ და შავვერცხლოვანთა ტყავეულის პირველი პარტია. 1 დეკემბრისათვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა 95 პროცენტით შეასრულა ბეწვეულის გამოყვანის წლიური გეგმა, გასულ წლებთან შედარებით რამდენიმე მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია ჩააბარა სახელმწიფოს, მიიღო 900 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მეურნეობაში ახლახან დამატებით აშენდა მელიების ახალი სექცია 200-მდე სული ნამატისათვის, შენდება დიდი სამაცივრო მეურნეობა და სამზარეულო 8 განყოფილებით.

მეურნეობაში შექმნილია საჭირო პირობები მელიების ხანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ნადირს საუკეთესოდ უვლიან სახანოვლეები მაკარიონი, ალშევსკაია, მამაშვილი და სხვები. თვითეულმა მათგანმა 111 ლეკვის ნაცვლად 120-124 მელიის ლეკვი გაზარდა. ამჟამად მეურნეობის მეცხოველეები ემზადებიან საგაზაფხულო დოლისათვის, მოელიან შავვერცხლოვანი და ქართული თეთრი მელიის 2.500-მდე სულ ნამატს.

შ. კოპალიანი.

**სურათზე:** 1. ბაკურიანის ნადირთმომშენებელი საბჭოთა მეურნეობის მე-3 სექცია. 2. მეურნეობის მუშაკი ვ. ყაურელიშვილი ქართული თეთრი მელიით.

## სპორტის ამბები

⊙ **საქალაქო ჩემპიონატი.** ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა შეჯიბრება თბილისის პირველობაზე მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტსმენთა კოლექტივებს შორის მხატვრულ ტანვარჯიშში გამარჯვებული გამოვიდა ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდი. პირადი პირველობის გათამაშებაში პირველთანრიგოსანთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა რ. პენკოვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი). აკრობატიკაში პირველი ადგილი დაიკავეს: ვაჟთა შორის — ა. ბაზიკაშვილმა, ქალთა შორის — მ. მჭედლიძემ, ვაჟთა წყვილებს შორის — ა. მჭედლიშვილმა და შ. ამონაშვილმა.

⊙ **ჩოგბურთელთა შეჯიბრება.** ფინალში თბილისის უმაღლესი სასწავლებლების გუნდურ პირველობაზე ჩოგბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩოგბურთელებმა ანგარიშით 5:4.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

საზამთრო არდადეგები—დილის სპექტაკლები მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| 1 იანვარს | ჯ. როსინი—სევილიელი დალაქი |
| 2 იანვარს | ი. მოროზოვი — ექიმი აიბოლიტი |
| 3 იანვარს | პ. ჩაიკოვსკი— ევგენი ონეგინი |
| 5 იანვარს | ზ. ფალიაშვილი — დაისი |
| 6 იანვარს | დ. თორაძე — გორდა |
| 7 იანვარს | ზ. ფალიაშვილი— აბესალომ და ეთერი |
| 8 იანვარს | რ. გლიერი — წითელი ყაყაჩო |
| 9 იანვარს | პ. ჩაიკოვსკი — ევგენი ონეგინი |
| 10 იანვარს | დ. თორაძე— მშვიდობისათვის (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). |

დასაწყისი დღის 12 საათზე

**ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება** აცხადებს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის საზამთრო სესიები იწარმოებს 1954 წლის 1-დან 10 იანვრამდე.

განყოფილების ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა გამოცხადება სესიებზე აუცილებელია.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილება** საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა, საქალაქო და რაიონული საბინაო სამმართველოების უფროსთა, სახლმმართველთა, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტთა, ბინის დამქირავებელთა და სახლების პირად მესაკუთრეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თანახმად თბილისის საქალაქო საბჭოს 1952 წლის 21 აგვისტოს სავალდებულო გადაწყვეტილებისა, ქალაქ თბილისის ყველა საწარმოსა და დაწესებულების შენობებში, აგრეთვე საცხოვრებელ სახლებში **აკრძალულია:**

ა) უწესივრო გასათბობ და გასახურებელ ხელსაწყოთა ექსპლოატაცია,

ბ) დროებითი ღუმელების დადგმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების რაიონული ინსპექციების წერილობითი ნებართვის უქონლად.

თბილისის საქალაქო საბჭოს 1952 წლის 21 აგვისტოს სავალდებულო გადაწყვეტილების დარღვევასა ან შეუსრულებლობაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს № 1364 დადგენილების საფუძველზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილება.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) 1954 წლის 5 იანვარს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **კაზიმირ იოსების-ძე ელიგულაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Двадцатипятилетний опыт оздоровления города от малярии в условиях влажных субтропиков".

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ლ. კალანდაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. კამალოვი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. კანდელაკი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. მარუაშვილი.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 2).

### თბილისის სახელმწიფო ცირკი

რსფსრ სახალხო არტისტის **ვლადიმერ დუროვის** პროგრამის I ციკლის უკანასკნელი დღეები და დიდი განახლებული საცირკო პროგრამა

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 27 დეკემბერს,

**დღის 2 საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წლის 6 იანვარს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ ვარლამის-ძე ახობაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გლეხთა მოძრაობა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინ** (1857-1864 წ. წ.)". ოფიციალური ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალ. ფირცხალაიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. შველიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 24 დეკემბერს | ა. ბალანჩივაძე — მთების გული |
| 25 დეკემბერს | ზ. ფალიაშვილი— აბესალომ და ეთერი |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

### დღეს თბილისის თეატრებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი, მარჯანიშვილის სახელობის — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (რკინიგზელის სახლში), გრიბოედოვის სახელობის — თივა და ავი ძაღლი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 36, 5 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უეცარი სიმდიდრე (4 ს.), მუსიკალური კომედიის — სასიძოები, ხანიტარული კულტურის — ვარდობის თვე, თოჯინების ქართული — დათუნიას ქოხი (11 ს.).

შვილები გიორგი, მარო, მიხეილ, ზინა ოჯახებით ხიმშიაშვილები, შვილიშვილები ლიანა, ციალა, ოთარ გოგილაშვილები, უშანგი, ირაკლი, თეიმურაზ, ციური ხიმშიაშვილები იუწყებიან ვარვარა ნიკოლოზის ასულ ვაჩნაძე-ხიმშიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-XII, 7 ს. გამოსვენება 27-XII, 2 ს. კომპაინის ქ. № 54.

ქალთა 42-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან მარიამ პავლეს ასულ ოდილავაძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ვასა დიმიტრის ასულ ჯინჭარაძე-ჯაყელის გარდაცვალებას.

ძმები ალისტრახო, შალვა ჰუმბურიძეები შვილებით, რძლები სონია, მარიამ, ძმისწულები გულნარა, ვასილ, თინა, კუკური, ნუნუ, სიძეები შ. გოცირიძე, შ. ჯაფარიძე, რძალი თინა იუწყებიან ნინო ვასილის ასულ მარგველაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII ნაგარევში (ქუთაისის რაიონი).

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგები იუწყებიან თამარ ლევანის ასულ თოთიბაძის გარდაცვალებას.

შვილები თამარ, სარა, ალექსანდრა, მაკარ ფალავაძე, რძლები ლოლა, ეკატერინე, სიძეები გ. გვიჩია, მ. ძელაია, ა. მორავა შვილებით იუწყებიან მელანია გლახუას ასულ ქაჯაია-ფალავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII სოფელ მარანში.

თბილისის მე-7 საპარიკმახერო წერტის თანამშრომლები იუწყებიან გიორგი ათანასეს-ძე რატიანის გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები შალვა, ვანო, რძლები მარო, ვერა, შვილიშვილები გია, თინა იუწყებიან გიორგი ივანეს-ძე ნახუცრიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII სოფელ ხაშმში.

სამტრესტის დიღმის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თამარ ილიას ასულ სანაძე-ჩხენკელის გარდაცვალებას.

დედა ნინო, დები ლუბა, ქენია, ტატიანა შვილებით, დედამთილი მენიკო, შვილები იური, ზაზა, სულიკო, სიძე გ. მელქაძე იუწყებიან ლიდა იაგორის ასულ ხარებავა-ახობაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII კულაშში (სამტრედიის რაიონი).

მეუღლე ლიზა, შვილები ვახტანგ, ჯიანა, ნათელა, რძლები ელენე, ზინა, ელენე, და კატო, დისწული ტატიანა ხუნდაძეები, სიძეები ტ. ძნელაძე, ი. დანელია იუწყებიან ალექსანდრე მიხეილის-ძე ხუნდაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII საჭამიასერში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე ანა, შვილები დიმიტრი, ნორა, ლამარა ფარჯანაძეები, სიძე ა. დვალაძე, ძმა რაჟდენ, რძალი ნინო, ძმისწულები ნანა, ნათელა ფარჯანაძეები იუწყებიან ირაკლი მელიტონის-ძე ფარჯანაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII ბარეულში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე გრიგოლ, შვილი ლამარა ჯაყელები, ძმა გრიგოლ, დები ოლია, დუშა, მარო, თამარ, რძალი ნინო ჯინჭარაძეები, ნინო, თამარ, ოლია ჯაყელები იუწყებიან ვასა დიმიტრის ასულ ჯინჭარაძე-ჯაყელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII ქ. მახარაძეში.

მეუღლე თალიკო, შვილები კოტე, გრიგოლ, დიმიტრი, მიტუშა, ცუცუნა, მადია, გუგული, ელენე მაჭავარიანები, ლევან, ანა მინჯიები, სიძეები ი. ყდენტი, ნ. თოიძე, ვ. ჭოჭუა, შ. ნიჟარაძე ოჯახებით იუწყებიან სამსონ თეიმურაზის-ძე მაჭავარიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII კლდეეთში (ზესტაფონის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 13232

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"